# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 10 აგვისტო, 1997 წელი.

№192 (2565)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ 45 თეთრი.


## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# თანხმობა — ერთიანობის ბალავარი

ეროვნული ერთობა და სამოქალაქო თანხმობა, მთელი საქართველოს ძალისხმევის გაერთიანება მტკიცე საფუძვლად უნდა დაედოს წარმატებულ ბრძოლას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ეს აზრი გამოითქვა ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა სრულიად საქართველოს ყრილობის ყველა ორატორის გამოსვლაში. ყრილობა 8-9 აგვისტოს მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. ყრილობის მონაწილეები აფხაზეთიდან, ცხინვალიდან ლტოლვილები გულისტკივილით ლაპარაკობდნენ იმ გაჭირვებაზე, მშობლიური მიწიდან აყრილი საქართველოს მოქალაქეები რომ განიცდიან. ამ ტრაგედიის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, „მესამე ძალასთან" ერთად, ასახელებდნენ ყოვლად გაუმართლებელ დაქსაქსულობასა და დაპირისპირებას სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს შორის.

ყრილობის მუშაობის მეორე დღეს გაგრძელდა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა, რამაც განაპირობა კიდეც თვით ყრილობის შინაარსი. ამ მთავარ პრობლემაზე ლაპარაკობდნენ თავიანთ გამოსვლებში აფხაზეთის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს წევრი ბორის კაკუბავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, ლტოლვილთა საბჭოს თავმჯდომარე მურმან ბერია და სხვა ორატორები. ითქვა, რომ აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის ოთხი წლის მანძილზე პრაქტიკულად არავითარი პროგრესი არ არის მიღწეული კონფლიქტის მოწესრიგებისა და მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფის საქმეში. ორატორები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ სამშვიდობო ოპერაციამ, ფაქტობრივად, ვერ გაამართლა, ამ ძალების ყოფნა რეგიონში კარგავს ყოველგვარ აზრს და ისინი უნდა გაიყვანონ.

იხ. მე-2 გვ.



დავით ქასრაძის ფოტო.

## კომენტარი

# პიროვნება — მთავარი ღირებულება

6 აგვისტოს მთავრობის მორიგმა სხდომამ პარლამენტში წარსადგენად გაიხილა და მიიღო კანონპროექტი „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეპარატების და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის შესახებ". კანონპროექტი შვიდი თავისა და 34 მუხლისაგან შედგება. მის მომზადებაზე თითქმის ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ჯანდაცვის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით. კანონის მიღება არ საჭიროებს დამატებითი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

რამ განაპირობა ამ კანონის შექმნის აუცილებლობა?

ჯერ ერთი, იგი ყველა ჩვენგანს ეხება, რადგან მასში განსაზღვრულია წამლების დიდი ჯგუფის მიღების წესი, კერძოდ იმ წამლებისა, რომლებიც მეტ-ნაკლებად შესამჩნევ გავლენას ახდენს ადამიანის გუნება-განწყობაზე, ძილ-ღვიძილზე, ტკივილზე და სხვა.

იხ. მე-3 გვ.



## რწმენა

# კვლავ მოვუწოდებთ

როგორც მოგეხსენებათ, საპატრიარქოს პრესცენტრმა ა. წ. 7 აგვისტოს პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გააკეთა განცხადება, რომლითაც შესთავაზა განდგომილ ბერებს დიალოგი საქართველოს საპატრიარქოში საგანგებოდ შექმნილ სალვთისმეტყველო ჯგუფთან, რათა განეხილათ ყველა ის საკითხი, რომელიც მათ აწუხებთ. სამწუხაროა, რომ ბერები შეხვედრაზე უარს ამბობენ და ურთიერთობის ეკლესიურ გზას არ ირჩევენ. ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მათ ქრისტიანული ძმური სიყვარულის ატმოსფეროში გადავწყვიტოთ დღეს არსებული უთანხმოება. საპატრიარქოს სალვთისმეტყველო ჯგუფს აქვს რიგი სერიოზული კითხვებისა, რომლებზეც პასუხის გაცემა ბერების მხრიდან ყოვლად აუცილებელია. არმოსვლის შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით ეს კითხვები დავუსვათ საჯაროდ.

საპატრიარქოს პრესცენტრი.
9.08.97.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის

# ბრძანებულება

1997 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

**გ. შეყილაძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)**

ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების შესრულების დროს დამნაშავეებთან შეტაკებისას გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული ვალის მოხდისათვის ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორი, პოლიციის ზემდეგი გიორგი შეყილაძე დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

## ინფორმაცია

### აკი სამ წელიწადს უცდიან დანაპირებს?

ორი სამხედრო კატარღა, რომელიც საქართველოს საჩუქრად გადაეცა სანაპირო დაცვის გასაძლიერებლად საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის დროს, ფოთის პორტში შემოვა აგვისტოს მეორე ნახევარში, იტყობინება „იბერია".

### კონფედერაციის პროვოკაცია

ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გარეშე ძალები ცდილობენ გაამწვაონ ურთიერთობა ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის. კერძოდ, რამდენიმე ხნის წინათ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ჩეჩენმა ბოევიკებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და აპირებენ ბრძოლას საქართველოს წინააღმდეგ, უნდა ჩაითვალოს მთიელ ხალხთა კონფედერაციის რეაქციული ძალების პროვოკაციად, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ ორი ქვეყნის პრეზიდენტების მოახლოებული შეხვედრა.

### ქართველ პარტიზანებს აბრალებენ...

„იბერიის" კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ რამდენიმე ხნის წინათ სოფელ ზემო ბარღებში (აფხაზეთის ტერიტორიაზე), მოკლეს მილიციის 2 მუშაკი. აფხაზეთის ე. წ. უშიშროების სამინისტრო აღნიშნული აქტის განხორციელებას ქართველ პარტიზანთა ჯგუფს მიაწერს.

სოფელ ოქტომბერში ნაღმზე აფეთქდა მანქანა, რომელშიც 17 ბოევიკი იჯდა, 2 დაიღუპა და რამდენიმე მძიმედ დაიჭრა.

### მშენებლები მზად არიან

„მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტის ცნობით, სუფსაში შეიკრიბნენ გურიის მხარეში მოქმედი 20 სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები რეგიონში მოსალოდნელი სამუშაოების ერთობლივი ძალებით განხორციელების მიზნით. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან მონაწილეობა მიიღონ სუფსის ტერმინალის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით დაგეგმილ სამუშაოებში. მათივე თქმით, შესაძლებელია სამშენებლო ორგანიზაციათა ბაზაზე გაერთიანების ჩამოყალიბება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სუფსის ტერმინალზე სხვადასხვა სამუშაოების წარმოებისათვის უფლების მოპოვების მიზნით მშენებლობის გენერალურ მოიჯარადე ინგლისურ-ნორვეგიული ფირმის „ქვერნეთ ჯონ ბრაუნის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში.

### „მარტინ ბაუერი" ტემპს არ ანელებს

ოზურგეთის რაიონში გასულ წელთან შედარებით მოკრეფილია 338 ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლი, რაიონის მრეწველობის სამსახურის უფროსის ომარ ჩხარტიშვილის განცხადებით, ჩამორჩენის მიზეზი საწვავის ნაკლებობაა, რის გამოც სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაის" ფაბრიკებმა 20 დღით შეაჩერეს მუშაობა, რაც შეეხება ფირმა „მარტინ ბაუერს", „მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ იგი ჩვეული გრაფიკით მუშაობს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: „იბერიამ", „მოამბე-ექსპრესმა".**

## უკანასკნელ საათს

მოსკოვი. გუშინ სოჭში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი შეხვდა ვლადისლავ არძინბას. განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხები.

ალმა-ათა. ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა პიკეტი მოაწყვეს რუსეთის ალმა-ათის საელჩოს შენობასთან ორტ-ის თანამშრომლების პაველ შერემეტისა და დიმიტრი ზავადსკის დასაცავად, რომლებიც ბელორუსიაში ჰყავთ დაკავებული. მათ რუსეთის ელჩს გადასცეს პეტიცია ფედერაციის ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც, არ იჩენენ ჯეროვან სიმტკიცეს თავიანთი მოქალაქეების გასათავისუფლებლად.

ოტავა. უკრაინელი დიპლომატი ბორის პოლიჩენკო თავის სამსახურებრივ მოვალეობას აქ ველარ შეასრულებს ერთი მიზეზის გამო – იგი დაიღუპა. მისი სიკვდილი უკვე ფაქტია, მაგრამ რა ვითარებაში დაიღუპა დიპლომატი, ამის თქმა გადაჭრით შეუძლებელია. პოლიჩენკო საცხოვრებელი ბინიდან გადმოვარდნილი ნახეს. კანადაში უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებმა აღნიშნულ ფაქტს უბედური შემთხვევა უწოდეს, ხოლო ადგილობრივი სამართალდამცველთა თქმით, დიპლომატმა თავი მოიკლა, მაგრამ მათთვის ახლა ყოვლად გაუგებარი ის რჩება, თუ რამ მიიყვანა პოლიჩენკო ამ ზომამდე, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი სულ რამდენიმე დღეში, მისი სამსახურეობრივი ვადის გასვლის გამო სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# თანხმობა — ერთიანობის ბალავარი

ამასთან დაკავშირებით ყრილობაზე გამოითქვა სერიოზული შემფოთება კონფლიქტის მოწესრიგების გზების ძიებისადმი მიდგომაში საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიციის გამო. აღინიშნა, რომ ასეთი პოზიცია იწვევს ამჟამინდელი ვითარების კონსერვაციას და ნებას აძლევს სეპარატისტებს მოახმარონ ძალისხმევა ქვეყნის სუვერენიტეტისა და მთლიანობის უკანონო ხელყოფის იურიდიულად გაფორმებას. ამ საქმეში მათ იმთავითვე აქტიურად უჭერდნენ და კვლავაც უჭერენ მხარს რუსეთის რეაქციული ძალები და ამიტომ, ითქვა ყრილობაზე, არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ რაიმე ობიექტურობას გამოიჩენენ იმ ქვეყნის გარკვეული პოლიტიკური წრეები, რომელმაც შუამავლის მისია იკისრა. ამ მისიის შედეგები ყველასათვის ნათელია: რუსეთის ხელისუფლება, რომელიც სიტყვით ცნობს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს, გაუგებარ პასიურობას იჩენს, როცა ჯერი კონკრეტულ მოქმედებაზე მიდგება, როგორც ეს მოხდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვის 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილების განხორციელებისას, რომელიც ითვალისწინებდა სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოებას ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით. ლტოლვილები სკეპტიკურად უყურებენ სექტემბრისათვის მოსკოვში დანიშნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მორიგ სამიტსაც: ძალზე დიდია იმედგაცრუება მის მიერ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა უშედეგობით გამოწვეული. შემთხვევითი როდი იყო, რომ ყრილობაზე გაისმა მოწოდებანი — საქართველომ უნდა დატოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ამასთან, აღინიშნა, რომ ჩვენი საშინაო პრობლემების გადაჭრაში მარტო სხვათა დახმარების იმედად არ უნდა ვიყოთ. საქართველომ თვითონ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემები. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ქვეყნის ყველა ძალის კონსოლიდაციით. რაც შეეხება მოლაპარაკებას კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე, მასში, უწინარეს ყოვლისა, უნდა მონაწილეობდნენ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც, რა თქმა უნდა, სხვებზე უკეთ იციან ეს პრობლემა, მისი სათავეები და გადაჭრის გზები. თუმცა, როგორც ორატორთა უმრავლესობა აღნიშნავდა, ისინი ვერ ხედავენ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობებს და მიიჩნევენ, რომ სეპარატისტულ რეჟიმს უნდა ვებრძოლოთ იმავე მეთოდით, რომელიც მან გამოიყენა ქართველი მოსახლეობის გენოციდის დროს. ჩვენში ვერ ჩაკლავენ მშობელი მიწის ყივილს და ვერავითარი ძალა ვერ შეგვაჩერებს, რადგან სიმართლე და სამართლიანობა ჩვენს მხარეზეა, აღინიშნა ყრილობაზე.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც შეაფასა შექმნილი ვითარება და ჩამოაყალიბა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მშობლიურ კერებში ლტოლვილთა დაბრუნების მის მიერ მოწონებული გზები.

**ედუარდ ედიბერიძე,**
**თენგიზ გრიგალაშვილი,**
საქინფორმის კორ.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

პრობლემა

# ყველაზე ეფექტიანი საბრძოლო იარაღი

## საქართველოს სჭირდება თავისი საინფორმაციო სივრცე

მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ტელეკომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ დანერგვის შედეგად, აქტიურად ვითარდება. ინფორმაციის შექმნის, გავრცელების, გარდაქმნისა და მოხმარების სფერო. ადამიანს გეოგრაფიული სივრცის პრაქტიკულად ყველა წერტილში შესაძლებლობა აქვს საინფორმაციო ქსელებით, მისთვის სასურველ დროს, ოპერატიულად მიიღოს სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სრული და უტყუარი ინფორმაცია დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან და არა მარტო ჩვენი პლანეტიდან. ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის ტრანსფორმაცია ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების ფორმების თვალსაზრისით, ვითარდება და საინფორმაციო ქსელებში ერთვება ციფრული ტელევიზია. მსოფლიო მასშტაბით იქმნება გლობალური საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, ყალიბდება **როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო საინფორმაციო სივრცე.**

კაცობრიობის განვითარების ტენდენციები მოწმობს, რომ **ამ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სივრცის ათვისებაში ჩამორჩენა, პრაქტიკულად მსოფლიოს ცივილიზებული განვითარების პროცესიდან ქვეყნის ამოვარდნას ნიშნავს.**

დღეს ცივილიზებულ სახელმწიფოებში უდიდესი ყურადღება ეთმობა თანამედროვე საინფორმაციო სივრცის ფორმირების პროცესებს (მაგ. აშშ-ის გადაწყვეტილება 1998 წლიდან ციფრულ ტელემაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ, რუსეთის მიზანმიმართული ლტოლვა საკუთარი გლობალური ქსელების სხვებისთვის თავსმოხვევის, დსთ-ის საინფორმაციო სივრცის შექმნისა და მასში დომინირებისათვის და სხვ.), რადგანაც **იგი მიაჩნიათ პროგრესის გზაზე ახალ, განუსაზღვრელ შესაძლებლობათა გარანტად და, რაც მთავარია, ეროვნული უშიშროების განმტკიცების, თავიანთი იდეოლოგიისა და პოლიტიკური გეგმების განხორციელების უმოკლეს გზად.** ამიტომაც ამ ქვეყნებში ან უკვე შემუშავებულია, ან აქტიურად მუშავდება საინფორმაციო სივრცის კონცეფციები, პროგრამები, მათი ათვისების პრობლემები.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს საინფორმაციო სივრცე, გასაგები მიზეზების გამო, იმდენად უსისტემო, შეზღუდული, განუვითარებელი და ღარიბია თავისი ძალური ხაზებით, რომ **იგი გარდაუვალად მოახდენს ზეგავლენას ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის განვითარების ხარისხზე, გახდება თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელ ცივილიზებულ პროცესებში ჩვენი ჩაბმის ძალიან ნელი ტემპის უმთავრესი მიზეზი.** რაგინდ გასაზიარებელი უნდა იყოს ეს „გასაგები მიზეზები" (სახელმწიფოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ.), **თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ფონზე ამ პრობლემის პრიორიტეტულობის გაუცნობიერებლობა და მისდამი უყურადღებობა ქვეყნის მომავლის წინაშე დანაშაულის ტოლფასი** (ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმატიზაციის განვითარების შინაარსი და პერსპექტივა დღეს იძლევა იმის შანსს, რომ სწრაფად დავძლიოთ ისტორიული მიზეზებით განპირობებული ის განსხვავება, რომელიც ჩვენსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის არსებობს). ამან უკვე განაპირობა ბევრ საკითხში ჩვენი წამგებიანი მდგომარეობა. მაგალითისათვის ტელემაუწყებლობის შესაძლებლობათა გამოყენების პრობლემაც კმარა. **დღეს გავლენისათვის, ქვეყნებისა და ხალხების ათვისებისათვის ბრძოლაში ცივილიზებული სახელმწიფოები საინფორმაციო ომებს ანიჭებენ უპირატესობას. ამიტომაც ტანკებით კი არა, ინფორმაციით აწარმოებენ „ხავერდოვან ომებს და დაპყრობებს". „საბრძოლო იარაღებს" შორის კი ტელემაუწყებლობას ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უჭირავს და მისთვის სახსრებსაც არ ზოგავენ.**

ჩვენ კი არსად ისე არ გვიჭირს მიზანმიმართულობა, ძალისხმევა და თანხების გაღება, როგორც საინფორმაციო საშუალებათა ამოქმედებისა და ქვეყნის სამსახურში მათი ჩაყენებისათვის (სახელმწიფო ინტერესებისათვის მათ გამოყენებას ვგულისხმობ, თორემ ერთმანეთის დასაგესლად, ბოლმის გადმოსანთხევად თუ დაგვჭირდა, გაზეთს გამოვცემთ კი არა, კავშირგაბმულობის საკუთარ თანამგზავრსაც შევიძენთ!).

ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ძალისხმევას არ აკლებს ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ჩანს, სამოხელეო აპარატისა თუ მავანთა „მოუმწიფებლობას" (გამონაკლისების გარდა) აწყდება.

**აქედან გამომდინარე, ჩვენი ტელემაუწყებლობა, რომელიც სრულყოფილად თვით თბილისშიც კი ვერ ვრცელდება (უფრო მეტიც, მთელ რიგ რეგიონებში უცხო ქვეყნების ტელეარხები დომინირებს), ვერ იქნება სათანადოდ გამოყენებული სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისათვის (მაგალითად, თუნდაც კონფლიქტების თავიდან აცილებისა თუ მათი მოგვარების პროცესებში და სხვ.).**

მეორე მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ინტერნეტის" ქსელი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების ერთ-ერთი მასობრივი და ეფექტიანი საშუალებაა. მასში დღეს 30 მილიონზე მეტი კომპიუტერია ჩართული, თან ყოველდღიურად დიდი სისწრაფით იზრდება მათი რიცხვი (რაღაც ორიოდე წლის წინათ მისით სარგებლობდა მეცნიერების, სახელმწიფო მოხელეების, განათლების მუშაკების და სხვა აბონენტთა შეზღუდული წრე). ეს ქსელი უდავოდ არის დიდი მომავლის მქონე ინფორმაციის ამოუწურავი წყარო, მაგრამ სათანადოდ არ გვაქვს ეს გაცნობიერებული, აქედან გამომდინარე, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ამ ქსელის დანერგვასა და გამოყენებას (თუნდაც ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში). აფხაზებმა ალღო აუღეს ამ სიახლის შესაძლებლობებს და წარმატებითაც იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში. მაგალითად ქსელში **http://hypatia. ss. uci.edu/gpacs./abkhazia** და **http://www. abkhazia.com/map, htm** მისამართებზე მოთავსებული მასალები, მთელ მსოფლიოში მრავალმილიონიან აუდიტორიას აწვდის ტენდენციურ და არაობიექტურ ინფორმაციას აფხაზეთის ისტორიის, მოსახლეობის, კულტურის, გეოგრაფიისა და დღევანდელობის შესახებ. აქვე მოთავსებულია შესაბამისი განწყობილებით შექმნილი აფხაზეთის რუკაც.

**ქვეყნის წინაშე დგას აუცილებლად მოსაგვარებელი ფართომასშტაბიანი პრობლემა, რადგან საქართველოს საინფორმაციო სივრცის განვითარება და დაცვა არის ეროვნული უშიშროების ერთ-ერთი სერიოზული გარანტი.**

განვითარებული საინფორმაციო სივრცე ჩვენი ქვეყნის მსოფლიოსთან ეფექტიანი და სისტემური ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა გახდეს. შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარებამ პრიორიტეტულ საკითხთა შორის უნდა დაიმკვიდროს ადგილი, რათა განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შესაძლებელი გახდეს არსებული და ჩამოყალიბებადი ტელესაკომუნიკაციო სისტემების საფუძველზე საინფორმაციო ურთიერთობის განვითარება და მათი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანა. პრობლემის გადაჭრის პროცესში შეიძლება შეიქმნას სპეციალური დეპარტამენტი, ან კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო გადაკეთდეს კავშირგაბმულობისა და ინფორმატიზაციის სამინისტროდ და აღიჭურვოს შესაბამისი ფუნქციებით და ა.შ.

**დღეს საქართველოს საინფორმაციო სივრცის ფორმირებასა და მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მის სრულყოფილად ჩართვას აფერხებს:**

ჩამორჩენა ქვეყნის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, გამოთვლითი ტექნიკის, კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებათა დანერგვაში, ქვეყნის კომპიუტერიზაციასა და ტელეფონიზაციაში;

— ჩამორჩენა ეროვნული საინფორმაციო კანონმდებლობის განვითარებაში (საინფორმაციო ქსელების ჩარჩოებში ქრება სახელმწიფოს გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საზღვრები, საჭირო ხდება შესაბამისი კანონმდებლობა, ეროვნული უშიშროების გარანტიები);

— ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა დაბალი საინფორმაციო-სამართლებრივი კულტურა;

— სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მხრიდან საინფორმაციო სივრცის ფორმირების პრობლემებისადმი სრული უყურადღებობა;

— ინფორმატიკის სფეროში სახელმწიფო სამეცნიერო გამოკვლევებისადმი ფინანსური მხარდაჭერის უქონლობა.

პირველ რიგში **საჭირო იქნება შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით შემუშავდეს საქართველოს საინფორმაციო სივრცის კონცეფცია და მისი რეალიზაციის სახელმწიფო პროგრამა.** მასში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს:

— საქართველოს საერთო საინფორმაციო სივრცის შესახებ კონცეპტუალურ დებულებათა დამუშავების, მუდმივი სრულყოფისა და განვითარების მექანიზმი;

— საინფორმაციო სივრცის ფორმირებისა და განვითარების ეტაპები;

— საინფორმაციო სფეროში ნორმატულ-სამართლებრივი ველის შევსება;

— ინფორმაციისა და ტელეკომუნიკაციის სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვა;

— საინფორმაციო სივრცის ფორმირებისათვის გაწეული საქმიანობის დაფინანსებისა და კოორდინაციის მექანიზმის შემუშავება.

— საინფორმაციო სივრცის ფორმირების პროცესის ეფექტიანი რეგულირებისათვის ქმედითი ზომების მიღება (რათა თავიდან ავიცილოთ საინფორმაციო სივრცისათვის დამახასიათებელი უარყოფითი შედეგები. მაგალითად, ჩვენთან მტრულად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოების ძალისხმევით გავრცელებულ ქსელებს შეეძლებათ ეროვნული უშიშროებისა თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ზიანის მოტანა: ცრუ და მავნე ინფორმაციისა და დეზინფორმაციის გავრცელება, საქართველოს საინფორმაციო რესურსებიდან მნიშვნელოვანი მონაცემების უკონტროლო გაღინება, ეკონომიკისა და სხვ. დარგების განვითარების წინააღმდეგ მიმართული ინფორმაციული დივერსიები და ა.შ.).

**ჰენრი კუპრაშვილი.**

კომენტარი

# პიროვნება — მთავარი ღირებულება

შემდეგ. როგორც საზღვარგარეთის მდიდარი და ჩვენი, შედარებით მოკრძალებული გამოცდილება გვიჩვენებს, მოძალებული ფარმაცევტული პროდუქციის გარემოცვაში, წამლების არარეგლამენტირებული შესყიდვის პირობებში ბევრი ადამიანი ვერ უძლებს ცდუნებას და ცხოვრებისეული პრობლემებით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებების დაძლევას ფსიქოტროპული პრეპარატების ჭარბი რაოდენობის მიღებით ცდილობს, რაც კიდევ უფრო აუარესებს მათ ჯანმრთელობას.

სიტყვებს „წამალი“ და „საწამლავი“ შემთხვევით როდი აქვთ ერთი ფუძე. წამალი მხოლოდ ექიმის დანიშნულებით, მის მიერ განსაზღვრული დოზით უნდა მიიღოს ავადმყოფმა, მით უმეტეს, თუ პრეპარატი უშუალოდ თავის ტვინზე მოქმედებს. ყველა სხვა შემთხვევაში წამალი საწამლავად შეიძლება იქცეს.

ეს კანონპროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც. იგი მოწოდებულია საიმისოდ, რომ ბოლო მოეღოს სამედიცინო თუ ფარმაცევტულ ქსელში მოკალათებული ნარკობიზნესმენების თარეშს, რომლებიც ჩვენი საკანონმდებლო ბაზის სიზუსტეს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. ამის ყველაზე მარტივი და ნათელი მაგალითია რეკლამა. ჩვენი პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის საშუალებით დროდადრო წაიკითხავდით, ან მოისმენდით ანონიმურ, ან ექიმის, ფარმაცევტისა თუ ჟურნალისტის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ესა თუ ის პრეპარატი უებარი საშუალებაა, ვთქვათ, ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ. სინამდვილეში კი აღნიშნული პრეპარატის მიღებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ნარკომანიის აღმოცენებას. სათანადო კანონის არარსებობის გამო ასეთი რეკლამის არც დამკვეთნი და არც განმხორციელებელნი არ ისჯებოდნენ.

მეორე მაგალითი: დღემდე ბევრ უწყებას გარკვეული სიძნელეების გადალახვით, მაგრამ მაინც შემოჰქონდა საქართველოში კონტროლირებადი პრეპარატები, ხოლო მათი გასაღება ფარდულებში, არაფერი რომ არა ვთქვათ, გასტრონომებსა და კერძო ბინებში, დაუბრკოლებლად შეიძლებოდა.

ახალი კანონი აკრძალავს კონტროლირებადი პრეპარატების რეკლამას ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური ნებართვის გარეშე, და მკაცრად შეზღუდავს იმ პირებისა და ორგანიზაციების რაოდენობას, ვისაც აქვს უფლება აწარმოოს ამ პრეპარატების ბრუნვა. ორგანიზაციებმაც და პირებმაც უნდა მიიღონ სპეციალური სერთიფიკატები.

როდესაც კანონი შევა ძალაში და, რაც მთავარია, ამოქმედდება სრული მოცულობით, ავადმყოფებსა და მათ ახლობლებს მნიშვნელოვნად გაუადვილდებათ ძლიერმოქმედი კონტროლირებადი წამლების მოპოვება — ექიმს, ფარმაცევტს და პაციენტს ზუსტად ეცოდინებათ რა სახის პრეპარატი და რამდენი ეკუთვნით ამა თუ იმ დაავადებასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, სპეციალური რეცეპტების ბლანკები, მათი გამოწერის, შენახვის, კონტროლის წესები პრაქტიკულად მიუღწევადს გახდის კონტროლირებადი პრეპარატების მოპოვებას არასამედიცინო მიზნებისათვის.

საბოლოოდ: ამ ფაქტით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოდ ყალიბდება, სახელმწიფოდ, რომელშიც ადამიანის ჯანმრთელობას კანონი უდგება დარაჯად. მაგრამ, ამასთანავე, როგორც ცნობილია, ყველა კანონის შესრულება ადამიანებზე არის დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, მთავრობის სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაამახვილა სათანადო სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების ყურადღება ნარკომანიისა და მოსახლეობის წამლებით მომარაგების პრობლემებზე.

როგორც ყველა გონიერი კანონი, ეს კანონპროექტიც პარლამენტის მიერ მიღების შემთხვევაში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, სიკეთეს მოუტანს ჩვენს ხალხს.

**გელა ლეჟავა,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნარკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

სიტუაცია

დუმილი ყოველთვის ოქრო არ არის.

და, როგორც ჩანს, საშლეარი დუმილსაც აქვს.

ახლა უკვე ხმამაღლა მიდის ლაპარაკი იმაზე, რომ გაუჭირდათ მუშაობა სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი სტრუქტურის მუშაკებს, კერძოდ, გამომძიებლებს.

დემოკრატიის, ჰუმანიზმის გზაზე შემდგარი საქართველო უამრავ ღონისძიებას ახორციელებს ადამიანთა უფლებების დასაცავად, მაგრამ ამ უფლებების დაცვის აქცენტი ძირითადად გადატანილია მხოლოდ ეჭვმიტანილებზე, ბრალდებულებზე, პატიმრებზე...

არადა, დაცვა სჭირდებათ დაზარალებულებსაც, მოწმეებსაც, გამომძიებლებსაც...

სადღეისოდ საქართველოს პროკურატურაში, მაგალითად გამომძიებლის 50 ვაკანტური ადგილია. ადრე იხვეწებოდნენ, მთიან რაიონებში, სვანეთშიც კი, სიამოვნებით მიდიოდნენ. ახლა — არა. ბარის რაიონებიდანაც გარბიან, თბილისიდანაც კი.

უკვე მობეზრდათ საუბარი გამომძიებლის დაბალ ხელფასზე. უწინ ამბობდნენ, 20-ლარიანმა გამომძიებელმა 20-მილიონიანი დამნაშავის საქმე, აბა, როგორ უნდა გამოიძიოსო.

სხვა რამ დადგა დღის წესრიგში. მისი უფლებების დაცვა სწორედ იმ 20-მილიონიანთან „შეტაკებისას“...

ეს 20-მილიონიანი დამნაშავე გახვეულია მაფიოზურ ქსელში. როგორც კი დააკავებენ, ატყდება ალიაქოთი, — არის პირადი მონახულება, ტელეფონით რეკვა, დაშინება, მუქარა, — მუქარა ანგარიშსწორებით, ოჯახის ამოწყვეტით...

არის ნერვიულობა, დაძაბულობა, უსიამო ფიქრში ღამისთევა...

ძალიან არ უნდოდათ, მაგრამ მოკრძალებით მაინც თქვეს, — ასეთი ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო პროკურატურის ორი გამომძიებელი საავადმყოფოშიც კი აღმოჩნდა...

რა ქნან?

აძლევენ გამომძიებელს, ვთქვათ, პისტოლეტს, თუნდაც ავტომატს თავდასაცავად. მაგრამ რა უყოს მან ოჯახს, ცოლ-შვილს? ადამიანები არიან გამომძიებლებიც, ფიქრობენ ოჯახსა და ცოლ-შვილზე. სად გადამალონ?

უბედურება ის არის, რომ... თუ დაზარალებული კერძო პირია, იგი, ასე თუ ისე, მაინც დგას გამომძიებლის გვერდით, — ეხმარება, იქნებ იცავს კიდეც მას შემოტევებისაგან...

მაგრამ, თუ დაზარალებული სახელმწიფოა, გამომძიებლის გვერდით ვერავინ დგება, — იგი პირისპირ რჩება დამნაშავის გარემოცვასთან...

უფრო მეტიც: თუ სახელმწიფო ქონებაა დატაცებული, თუ სახელმწიფო სახსრებია შეჭმული, საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი არ იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, პირიქით, ექომაგება ჩვენივე საკუთრების მძარცველებს, გამნიავებლებს. აქედან გამომდინარე, ეჭვიც კი ჩნდება, — არის, თუ არა მზად ჩვენი საზოგადოებრიობა კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად?

ვგონებ, არ არის! სიტყვით თითქოს ყველას სურს კორუფციის წინააღმდეგ იბრძოლოს, საქმით კი ძალზე ბევრი ცდილობს ამ ბინძურ ჭაობში რაღაცნაირად ჩაეფლოს, — ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო „საქმის ჩასაწყობად“ ამა თუ იმ ჩინოვნიკს ქრთამი შესთავაზოს.

ან სხვას, კორუფციაში მხილებულს და საკანში გამოკეტილს, — ყველა ხერხით გამოექომაგოს; რას ამბობთ, ეგ მაგის გამკეთებელია? უგონებენ, ცილს სწამებენ, სახელს უტეხენ...

და ასეა უმეტეს შემთხვევაში...

ეს კიდევ არაფერი, ამას იქნებ მოეელოს.

რა ვუყოთ იმ სავალალო ფაქტებს, რომლებიც ამ ბოლო ხანს უკვე მასობრივ ხასიათს იძენს ჩვენს სასამართლოებში?

საქმეებს აჭიანურებენ, აშკარა დამნაშავეებს შინ უშვებენ...

7 აგვისტოს საქართველოს პროკურატურის კოლეგიაზე ორი ასეთი ფაქტი დაასახელეს:

1. ორი წელიწადია, რაც დაკავებულია რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე რემი ვაშაკიძე. და ამ ორი წლის მანძილზე მიდის ფარული თუ აშკარა მუშაობა მის გასათავისუფლებლად, მისი „უდანაშაულობის“ დასამტკიცებლად...

2. მეზობელი რუსეთიდან, მაგალითად, ერთი ძებნილის ექსტრადაცია ჯდება 2.000 — 2.500 დოლარი. ამ თანხის საშოვნელად, დოკუმენტების გასაფორმებლად, თანამშრომელთა გასაგზავნად და ძებნილის აქ ჩამოსაყვანად დიდი ჭაპანწყვეტაა. ორი-სამი დღის შემდეგ გაიხედავ და... ეს ძებნილი გარეთ დადის...

## გასაწკეპლი გაიწკეპლოს, მაგრამ...

არავინ უარყოფს — საქართველოში ჯერ კიდევ ეხვდებით უკანონო დაპატიმრების, გამოძიების ვადების დარღვევის თუ სხვა ამგვარ უსიამო ფაქტებს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ მარშანდელთან შედარებით ადამიანთა უფლებების დაცვის მხრივ ვითარება გაცილებით გაუმჯობესებულია.

საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებულებებიც კი გამოსცა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების მოსაგვარებლად. ეს ბრძანებულებები, უპირველესად, მაინც ეხება სამართალდამცავ ორგანოებში „მოხვედრილ“ პირებს, ძირითადად კი — მსჯავრდებულებს. ეს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებია და მათს შესასრულებლად ყველამ ერთიანად უნდა იბრძოლოს. ამ კუთხით მოხსენებები ყოველ 6 თვეში ეროვნული უშიშროების საბჭოს უნდა წარედგინოს. იმედია, მდგომარეობა კიდევ უფრო უკეთესი გახდება.

მანამდე კი...

პროკურატურას არ დაუმალავს, რომ ხარვეზები ამ სისტემაშიც შეინიშნება. პირიქით, აქ ხმამაღლა თქვეს, რომ წლევანდელ 6 თვეში დასჯილია 152 თანამშრომელი, მათ შორის 137 დაისაჯა სწორედ გამოძიების ვადების დარღვევისათვის. სამსახურიდან გათავისუფლებულია მთავარი სამხედრო პროკურორი, რაიონის 3 პროკურორი...

გასაწკეპლი ჩვენს რიგებშიც უნდა გაიწკეპლოსო. თუმცა იქვე ითქვა ესეც: ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ ადამიანის უფლებების დაცვისათვის, მაგრამ ჩვენი უფლებებიც უნდა დაიცვას ვინმემ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება პროკურატურა გამოძიების სამსახურის გარეშე დარჩეს. ეს კი პროკურატურასაც გაუჩენს პრობლემებს და თვით სახელმწიფოსაც.

სხვათა შორის, უკვე დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი რუსეთის გამოძიების სამსახური. იქ გამომძიებლებად ექაჩებიან პედაგოგებს, ჟურნალისტებს და სხვა ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებს. ალბათ, უფრო შტატების შესავსებად.

კარგი იქნება, თუ ასეთ გასაჭირში ჩვენც არ აღმოვჩნდებით!

**ბონდო გულიაშვილი.**

კომენტარი

# ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებისათვის

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქალაქ ყაზახში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებში ალექსი გერასიმოვი შეხვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველს ეროვნული პოლიტიკის საკითხებში ჰ. ორუჯევს. შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნებათშორისი ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები, ქვემო ქართლის რეგიონისა და ყაზახის რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლები.

საუბრის მთავარი საგანი აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრებზე სამთავრობო დელეგაციათა მოლაპარაკების ოქმით გათვალისწინებული ეროვნულ უმცირესობათა საკითხების რეალიზაცია იყო.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, იქმნება ორი ქვეყნის ერთობლივი კომისია დიასპორათა საკითხებზე მუშაობისათვის. დაზუსტდა ორივე მხრიდან კომისიაში შემავალ წევრთა სია, კომისიის დებულება და მუშაობის რეგლამენტი. კომისია შეისწავლის საქართველოში აზერბაიჯანულ და აზერბაიჯანში ქართულ სათვისტომოთა სოციალურ-კულტურულ მდგომარეობას. ხელს შეუწყობს მათ ჰარმონიულ განვითარებას.

გადაწყდა, რომ შეხვედრებს მიეცემა რეგულარული ხასიათი, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.



**სურათზე:** ალექსი გერასიმოვი და ჰაიდათ ორუჯევი.

ერთობა

# ღმერთმა გაგიხსნათ და გაგინათლოთ გონება, მოგილბოთ გაქვავებული გული და აგიხილოთ თვალი

საყვარელნო ბერნო, მოგმართავთ იმათ, რომელთაც ჯერ კიდევ ძალგიძთ გაიგოთ სიტყვა და „ასხენ ყურნი სმენად" (მარკ. 4. 9). მე მინდა ჩემი ეს მამაშეილური და ქრისტესმიერ ძმური ეპისტოლე თქვენგან გულისყურით იქნას აღქმული. უფალს შევთხოვ, ბოლომდე გაგაგებინოთ ის, რისი თქმაც მსურს, ვინაიდან მიმაჩნია, რომ სასულიერო პირებს მართებთ ეკლესიის საქმეები განიხილონ არა გაზეთების ფურცლების მეშვეობით ანდა ტელეეკრანებიდან, არამედ ერთმანეთს შორის, ტრადიციისამებრ თბილად, სიყვარულითა და რწმენით. მართალია, მე ესოდენ დიდი ნაკითხობით არ გამოვირჩევი, როგორც თქვენ; თქვენ ხომ თქვენს წერილებში სხვა თუ არაფერი, ეკუმენისტური მოძრაობის და მისი ცალკეული დეტალების საოცარ ცოდნას ამჟღავნებთ. ვაღიარებთ, რომ ამგვარი ცოდნის მისაღებად საკმაოდ დიდი დრო უნდა დახარჯოს ადამიანმა; ამისთვის კი მე დრო არასდროს მქონია და მომავალშიც არ მექნება, თუმცა კი შევეცდები, გაზეთებისა და წიგნების ყოველგვარი ქექვის გარეშე გითხრათ სათქმელი.

თქვენს აქტიურ პროტესტს საქართველოს ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობის გამო თქვენი სახელი მოჰყვა, თუმცა კი პარალელურად წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესია ამ საერთაშორისო ორგანიზაციიდან გამოვიდა. თქვენ მაშინვე ტკუილუბრალოდ დასჯილების სახე მიიღეთ და ყველას გასაგონად საჯაროდ მადლობდით უფალს იმის გამო, რომ თქვენი მეოხებით მოხერხდა ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა. სინამდვილეში კი ვითარება სხვაგვარი იყო (რისი ხმამაღლა აღიარებაც თქვენ არ გსურდათ): ულტიმატუმები, ღია წერილები, ეკლესიის კარების ჩაკეტვა, სასულიერო პირების შეურაცხყოფა, არეულობის შეტანის მცდელობა ეკლესიასა და ერში ბერული საქციელის ფარგლებში არ ეტევა. სწორედ ამიტომაც დაისაჯეთ და არა იმიტომ, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე სხვაგვარად ფიქრობთ. ის, თუ როგორ აზრს ავითარებთ და სწორია თუ არა იგი, თქვენს მოძღვარს მოეკითხება და თუკი არასწორად ფიქრობთ და ამისი შეცნობა არ გსურთ, ღმერთმა მოგკითხოთ იგი. საკითხი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, სხვაგვარად იდგა; ჩვენს მოძღვარს ჩვენ თვითონ ვირჩევთო, ძალიან საინტერესოა იმის გარკვევა, სჯულის კანონის რომელი მუხლით არის ეს მოსაზრება განმტკიცებული. ვინც ამგვარად ფიქრობს, სწორედ ის უხვევს სჯულის კანონიდან და სწორედ ასეთი ადამიანია ეკლესიაში არეულობის შემტანი. თუ სჯულის კანონი გაინტერესებთ, წაიკითხეთ ანტიოქიის კრების მე-5 კანონი, რომელიც ღაღადებს: „თუ მღვდელი ან დიაკონი თავის ეპისკოპოსს შეურაცხყოფს და (ამით) თავისთავს განაშორებს ეკლესიისაგან, ცალკე მოაწყობს კრებებს, საკურთხეველს აღმართავს, ეპისკოპოსის ერთხელ და ორჯერ მოწოდებას არ დაემორჩილება და არ მოინდომებს მის დაჯერებას, ის უნდა განიკვეთოს სრულიად, ისე რომ აღარ დარჩეს განკურნების იმედი. მისთვის აღარ იქნება შესაძლებელი პატივის დაბრუნება, ხოლო თუ განაგრძობს ეკლესიაში არეულობის შეტანას და მის წინააღმდეგ მოქმედებას, გარეგანი და საერო ხელისუფლების მიერ, როგორც მეამბოხე, დასჯილ უნდა იქნეს". ან თუნდაც კართაგენის კრების 62-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ბეთანიის მონასტრის მამები ისჯებიან იმის გამო, რომ წმიდა სინოდის მიერ დასჯილ სასულიერო პირებს დაუჭირეს მხარი. ასევე შეგიძლიათ იხილოთ ამავე კრების 53-ე მუხლი და თუკი ინებებთ, კიდევ ბევრის მოყვანა შეიძლება.

ყოველივე ზემოთ თქმულს შემდეგიც ნათელყოფს: მე, სასულიერო პირს, მაქვს ლოცვა-კურთხევა ბეთანიის მონასტრის წინამძღვრობისა, შესაბამისად, აქ წირვა-ლოცვის ჩატარებისა. თქვენ კი პატრიარქის ლოცვა-კურთხევას არად აგდებთ, მონასტერს კეტავთ, არავის უშვებთ მასში და ნებისმიერ იქ მისულ მოძღვარს შეურაცხყოფას აყენებთ. ნუთუ ფიქრობთ, რომ მთელ საქართველოში ჭეშმარიტად მოაზროვნენი მხოლოდ თქვენ ხართ. თუკი ასე ფიქრობთ, ღრმად ცდებით, ვინაიდან შესაძლოა, ბევრი სხვაგვარად ფიქრობს, ბევრ რამეს სხვა თვალით უყურებს, მაგრამ მათი საქციელი ზნეობრიობის ფარგლებს არ სცილდება. ჩემი დიდი სურვილი იქნებოდა, რომ თითოეულ თქვენგანს ეს სიტყვები კარგად გაეცნობიერებინა.

ბერი იოანეს (შეყლაშვილი) „ღია წერილში" ერთგან მოციქულის სიტყვებია მოყვანილი, რომ მორჩილება გვმართებს ღვთისა და არა ადამიანისა. რატომღაც ბერი იოანე მიიჩნევს, რომ მისი მიმდევრობა ღვთის გზით სავალია — ამას ბევრმა საღად მოაზროვნე ადამიანმა ეჭვის თვალით შეიძლება შეხედოს, ან ვინ განსაზღვრა, რომ ბერი იოანეს მსმენელნი ღვთისას შეიცნობთ. ვინ ითავა იმის მტკიცება, რომ მხოლოდ იგი ქადაგებს სრულ ჭეშმარიტებას. თუკი ვიტყვით, რომ საქართველოს პატრიარქი შეცდომებს უშვებს და არასწორია, ხოლო თქვენ სრულ იზოლაციას აცხადებთ ყველასა და ყვეაფრისგან და ამიტომ სწორი ბრძანდებით, ამგვარი კრიტერიუმი აბსურდულია, ვინაიდან ყოველგვარი უკიდურესობა ხომ ბოროტებაა.

წმიდა ისააკ ასურელის წიგნში შემდეგს ვკითხულობთ: წმიდა ისააკი ეკითხება ერთ-ერთ მოხუც ბერს, რომ მას სურს შეასრულოს გარკვეული მორჩილება ის, რასაც ადრე დიდი წმიდა მოღვაწეები მიმართავდნენ. წმიდა მამამ ამგვარი პასუხი მიიღო: ასეთი დიდი მორჩილება მხოლოდ მაშინ შეიძლება იტვირთო, როდესაც ბოლომდე გრძნობ, ხორცის ყოველგვარი ცდუნება რომ მოიცილე და სრულიად თავისუფალი ხარ ამაოებისგან. თუკი ამის გარეშე მიიჩნევ, რომ დიდ წმიდა მამათა მსგავსად ძალგიძს ამგვარი მორჩილება შეასრულო, თვითონაც ცოდვის უფსკრულში იჩეხები და სხვასაც ჩეხავ. მსგავსი მორჩილების მიმდევარი იყო ბერი, რომელიც სხვათაგან ჭეშმარიტად გამოირჩეოდა თავისი ცხოვრებით, შენ კი ჩვეულებრივი ბერი ხარ, ისეთი როგორიც ყველა (მიაქციეთ ყურადღება, ამას ეუბნებიან წმიდა ისააკ ასურელს). ის წმიდა მამები სხვა ცხოვრების წესს მისდევდნენ და შენ — სხვასო, ასკვნის იგი ბოლოს. თუკი მაგალითებს მივყვებით, უამრავზე უამრავი ისეთი რამ შეიძლება გამოვიჩხრიკოთ, რაც ზერელე კაცს ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოეჩვენება და ამ ნიადაგზე დავა და ვაი-უშველებელი ატყდება. მით უმეტეს ეკლესიის ისტორიას ბევრი ამგვარი ფაქტი ახსოვს და, საერთოდ, ვფიქრობ, მაგალითების მოყვანა ამ მიზნით არც ხამს. რამდენიმე მათგანი ზემოთ მხოლოდ იმიტომ წარმოვადგინე, რომ ამით ნათელი გამეხადა მიზნის მისაღწევად თქვენი მეთოდებისა და გზების აბსურდულობა (მიზანი რა არის, ეს კიდევ ცალკე საკითხია). როდესაც თავს ვუტოლებთ წმიდა მაქსიმე აღმსარებელს, წმიდა მარკოზ ეფესელს, წმიდა თეოდოსი სტუდიელს და სხვათ, კარგად უნდა დავფიქრდეთ წმიდა ისააკ ასურელის ზემოთწარმოდგენილ ნაწყვეტზე — თავმდაბლობა და ზომიერება უპირველესი იყო ტრადიციული მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიმდევართათვის. ამასთანავე, მათ გვერდით არ უნდა დაგვავიწყდეს წმიდა იოანე ოქროპირი, რომელიც სასულიერო პირთა გარკვეული ჯგუფის დიდი აქტიურობის შემდეგ (რომელთა უკანაც, რა თქმა უნდა, საერო პირები იდგნენ) გადააყენეს კონსტანტინეპოლის ტახტიდან, ესეც არ აკმარეს და შორეულ გადასახლებაში გაუშვეს. იგივე შეიძლება ითქვას წმიდა პატრიარქ ფოტიოსზე და ვინ იცის, კიდევ რამდენის ჩამოთვლაა შესაძლებელი. როგორ გავარკვიოთ, რომელი უფრო მიესადაგება ჩვენს შემთხვევას? რომელია თქვენს შორის ისეთი უცოდველი, ასე კატეგორიულად, საკუთარი ნებით რომ შეძლოს ღვთის ნების განსაზღვრა. იქნებ, არა პარადიგმულ, არამედ ერთეულ, განუმეორებელ შემთხვევას წარმოგვიდგენს ყოფითი ვითარება. აბაშაკი ხომ ერთი იყო, რომელიც ქრისტეს მარჯვენივ გაეკრა და ჯვრით ხელში წინ უძღვოდა უფალს სასუფეველში. ვინ სცადა, განგების საიდუმლოებაში ჩახედვა? ვინც სცადა, შეგახსენებთ, რომ ბაბილონის გოდოლი ჯერ კიდევ ცოცხალი ხატია ასეთთათვის, ხოლო მართლაც ღვთის ნებას თუ მივყვებით, ყველამ კარგად ვიცით, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში პატრიარქი მხოლოდ ღვთის ნებით დგინდება. მე კი, ცოდვილს, უკანასკნელსა და უღირსს, მიმაჩნია, რომ ვერასოდეს ვიტვირთავდი მის განკითხვასა და წინააღმდეგობას საკუთარ თავზე და თუ იგი თქვენი მტკიცების თანახმად რაიმეში ცდება, განა არ იცით, შეცდომების მიზეზი, პირველ რიგში, სად უნდა ეძიოთ? რა თქმა უნდა, საკუთარ თავში. ნუთუ თქვენ, ბერები, ლოცულობთ იმდენს, რომ დღეს საქართველოს ეკლესიაში ყველაფერი კარგად იყოს? მაშინ საიდან გაქვთ ამდენი ჩხუბის, დავიდარაბის, განკითხვისა და სხვათა კრიტიკის დრო? დეკლამაციები, ულტიმატუმები, ღია წერილები, შეკითხვები საგაზეთო ფურცლებიდან, ანუ ბრძოლის ფორმა, რომელიც თქვენ აირჩიეთ (ან ვინმემ გიკარნახათ) საეკლესიო მართლმადიდებლურ ტრადიციაში მიუღებელია. გადაეხედოთ თანამედროვე ეკუმენისტური მოძრაობის დოკუმენტაციას, მის მხარდამჭერ პრესას თუ ლიტერატურას. აშკარაა, თუ ვის ახასიათებს ზემოთ დასახელებული მეთოდები და ბრძოლის გზები. ასეთ მებრძოლებს მაქსიმე აღმსარებლისა და მსგავსთა მემკვიდრეებად ვერ ვაღიარებთ.

საყვარელნო ბერნო, ღმერთმა გაგიხსნათ და გაგინათლოთ გონება, გაქვავებული გული მოგილბოთ და თვალები აგიხილოთ. აქვე ურიგო არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა ნაწყვეტი წმიდა კვიპრიანე კართაგენელის ერთ-ერთი ეპისტოლედან. აქ იგი წერს, რომ არც ერთი ქრისტიანი, რომელსაც სახარება ახსოვს, არ უნდა მძრწუნდეს, თუკი ბოლო ჟამს ამპარტავანნი და ჯიუტნი, ღვთის ეპისკოპოსთა მგრები წავლენ ეკლესიიდან ან მის წინააღმდეგ ამოქმედებიან. შემდეგ დასძენს, რომ უფალიც და მოციქულებიც წინასწარმეტყველებდნენ, რომ ამგვარი ადამიანები იქნებიან. თქვენ მოგმართავთ, ბერებო, დაფიქრდეთ, რათა თქვენი დღევანდელი უკიდურესი პოზიციით არ აღმოჩნდეთ უკანასკნელი ჟამის ხსენებულ განდგომილთა ბანაკში.

თუკი ამ მამაშვილურ მიმართვას არ შეიცნობთ და არ მიიღებთ, მაშინ მე შევუდგები ჩემი უფლის მიერ ნაბოძარი წინამძღვრობის შესრულებას ისე, რომ ყოველი ჩემი ნაბიჯი წმიდა მამათა მოძღვრებებით იქნება განპირობებული.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის, ბეთანიის, ზარზმისა და ქვათახევის მონასტრების წინამძღვარი, არქიმანდრიტი
**იოაკიმე (ასათიანი).**

სიწმინდე

# საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება ეკლესიაში შექმნილი ვითარების გამო

**საქართველოს მონასტრების რამდენიმე ბერსა და მორჩილს დღემდე გაწყვეტილი აქვს ევქარისტიული კავშირი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. ისინი პრესაში აქვეყნებენ წერილებს. მათი ბოლო წერილია: „ბეთანიის ძმობის 12 შეკითხვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და სინოდს" (ახალი თაობა. 28 ივნისი).**

**ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქო საჭიროდ მიიჩნევს, განმარტოს თავისი პოზიცია. წინამდებარე მიმართვაში არ არის განხილული ყველა წამოჭრილი საკითხი. მათზე მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდება.**

**რაც შეეხება ბერებს, რომელთაც გაწყვეტილი აქვთ ევქარისტიული კავშირი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ჩვენ მათ მოვუწოდებთ გადადგან ნაბიჯი ეკლესიაში ერთობის აღდგენისათვის. თავის მხრივ, საპატრიარქო ეცდება მათთან ურთიერთობა ქრისტიანული სიყვარულითა და მშვიდობით წარმართოს.**

## 1. ეკლესიის შესახებ

თავიანთ წერილებში ზემოხსენებული ბერები გამოთქვამენ აზრს, თითქოს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობით მართლმადიდებელი ეკლესია ღალატობს სწავლებას ეკლესიის შესახებ. არქიმანდრიტი იოანე წერს: „ე. წ. განშტოებათა თეორია (branch theory), რომლის მიხედვითაც ეკლესია გაყოფილია მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, პროტესტანტულ და სხვა შტოებად, პირდაპირ წინააღმდეგობაშია მართლმადიდებლურ დოგმატთან ეკლესიის შესახებ". (არქ. იოანე. ღია წერილი... ივერიის გაბრწყინება № 18).

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვაცხადებთ:

მართლმადიდებელ ეკლესიას მტკიცედ სწამს, რომ სწორედ ის (მართლმადიდებელი ეკლესია) არის ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, რომელიც სრულად ინახავს სალვთო მადლსა და ჭეშმარიტებას. მართლმადიდებელი ეკლესია შეიძლება აწარმოებდეს ან არ აწარმოებდეს დიალოგს არამართლმადიდებლებთან ან სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან, იმის მიხედვით, თუ რას ჩათვლის მიზანშეწონილად. მაგრამ ამავე დროს კომპრომისს სარწმუნოების საკითხში დაუშვებლად მიიჩნევს.

ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 1986 წლის მართლმადიდებელი ეკლესიების კონფერენციაზე. აქ მიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც არის ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია... **(The Orthodox Church, which is The One holy...). (Vna Sancta 42, 1987, გვ. 4). Obe goky„). (Una Sancta 42, 1987, გვ. 4).**

## 2. ეკუმენური მოძრაობის შესახებ

ოპონენტთა აზრით, „ეკუმენიზმი მწვალებლობაა, ხოლო ამ მოძრაობაში ყოფნა მწვალებლებად ყოფნას ნიშნავს" (შეკითხვა 12) და ამიტომ საქაროთველოს ეკლესია უნდა გაემიჯნოს, ევქარისტიული კავშირი გაწყვიტოს მსოფლიოს ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან იმის გამო, რომ ისინი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (ემს-ს) წევრები. აქ უნდა დავაზუსტოთ, თუ რას ნიშნავს მწვალებლობა.

მწვალებლობა არის ცრუმოძღვრება, რომელიც თავის თავს ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ მოძღვრებად აცხადებს, სინამდვილეში კი არღვევს ჭეშმარიტ სწავლებას და ამაში მხილებულია ეკლესიის მიერ, ხოლო მწვალებელია ის ადამიანი, ვინც შემოიტანს ან აღიარებს ამგვარ მოძღვრებას და ეკლესიის მიერ რამდენიმე მხილების შემდეგ არ ცნობს თავის ცდომილებას. ეკუმენიზმი, უფრო სწორედ ეკუმენური მოძრაობა, არ არის ერთიანი მოძღვრება. სხვა საკითხია ის, რომ თავის კონკრეტულ გამოვლინებაში, ეკუმენური მოძრაობა შეიძლება საზიანო იყოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ეს სერიოზული საკითხია და მშვიდ განსჯას მოითხოვს. რაც მთავარია, მართლმადიდებელ ეკლესიებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დატოვონ ეს მოძრაობა. ამას ამტკიცებს, როგორც კანბერის კონფერენციაზე მართლმადიდებელ დელეგატთა განცხადება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან შესაძლო გამოსვლის შესახებ და ასევე საქართველოს ეკლესიის მაგალითი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ემს-ს მიერ წარმოებული ეკუმენური მოძრაობა იმ ფორმით, რომელიც მან ბოლო დროს მიიღო, არ იყო სასურველი ჩვენი ეკლესიისთვის. ეს საკითხი ადრეც არ იყო უცხო ჩვენთვის. 1997 წლის მაისის მოვლენებმა დააჩქარა მისი განხილვა და 20 მაისის წმიდა სინოდის კრების გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესია გამოვიდა ემს-დან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან.

ამასთანავე, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ემს-ში მონაწილეობა მწვალებლობაში ყოფნას ნიშნავს და ამგვარად, ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან იმის გამო, რომ ისინი არიან ემს-ის წევრები, მიუღებელია. ამავე აზრს, იზიარებს იერუსალიმის საპატრიარქო, რომელმაც ყოველგვარი დიალოგი შეწყვიტა არამართლმადიდებლებთან (heterodox), მაგრამ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტის საკითხი არც კი დაუყენებია (ob. orthodox typos 16

იხ. გვ - 10 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა






ევროპაში არ მთავრდება წარღვნა. წყალდიდობა, რომელმაც თავდაპირველად ჩეხეთისა და პოლონეთის ტერიტორიები მოიცვა, გერმანიასაც მოედო. ყველგან მიმდინარეობს ჯებირებისა და ნაპირსამაგრი ზღუდეების მშენებლობა. ადგილობრივ მცხოვრებთ მეომართა ქვეგანაყოფებიც ეხმარებიან.

## მდიდრები, შეიძლება, ტირიან, მაგრამ ღარიბები – აღარ!

მექსიკის პრეზიდენტმა ერნესტო ზედილიომ გამოაცხადა, რომ დაიწყო სიღატაკესთან ბრძოლის ეროვნული პროგრამის რეალიზაცია, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. პრეზიდენტმა პროგრამას უწოდა იმ საბაზრო რეფორმების „ადამიანური სახე“, რომლებმაც არაფერი არ მოუტანეს ქვეყნის ღატაკ მოქალაქეებს. წლის დამლევისათვის ამ პროგრამით მოცული იქნება 400 ათასი ოჯახი მექსიკის მთელ ტერიტორიაზე. პროგრამა ითვალისწინებს განათლების, სამედიცინო მომსახურებისა და სურსათის ხაზით სახელმწიფო შემწეობის გადახდას. გარდა ამისა, დაგეგმილია გაიცეს საბავშვო დახმარება. მთავრობამ მიიღო სილატაკესთან ბრძოლის სახსრები, ვინაიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატებამ წელიწადში 5 პროცენტს გადააჭარბა. ასოშიეიტედ პრესის მონაცემებით, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა დღეში სამ დოლარზე ნაკლებს შეადგენს, მაგრამ ბევრნი ამასაც ვერ იღებენ.

## კარაჯიჩი თმობს თავისუფლებას, მაგრამ არა – ღირსებას!

ქვეყნიდან ბოსნიელმა სერბთა ყოფილმა ლიდერმა რადოვან კარაჯიჩმა განაცხადა, რომ მზად არის ჩაბარდეს საერთაშორისო ტრიბუნალს „საპატიო პირობებით“, იუწყება ფრანს პრესი, რომელიც იმოწმებს გერმანულ გაზეთს „ზიუდდოიჩე ცაიტუნგს“. მან წამოაყენა წინადადება, გაასამართლონ იგი ბოსნიელ სერბთა კუთვნილ ტერიტორიაზე, სერბული კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, დასძინა კარაჯიჩმა, საერთაშორისო ტრიბუნალს შეუძლია გაუწიოს კონტროლი მთელ პროცესს. სერბთა ლიდერის წინადადება საჯაროობის კუთვნილება გახდა სწორედ იმ დროს, როდესაც ბოსნიაში ჩადის ამერიკის საგანგებო დავალებათა ელჩი რიჩარდ ჰოლბრუკი. ჰოლბრუკის ერთ-ერთი მიზანია აიძულოს კონფლიქტის ყველა მონაწილე – ქრისტიანი, მაჰმადიანი და კათოლიკე – შეასრულონ დეიტონის შეთანხმებათა მოთხოვნები და გადასცენ მალული სამხედრო დამნაშავენი, მათ შორის, კარაჯიჩი საერთაშორისო ტრიბუნალის ხელში.

## რკინის ნაგაზი – საიმედო მწყემსი

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს პირველი რობოტ-ნაგაზი, წერს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“. ნავარაუდევია, რომ რობოტს გამოიყენებენ ფერმერთა მეურნეობების დასაცავად, ცხვრისა და საქონლის ჯოგისაგან მტაცებელთა დასაფრთხობად. ზოგიერთ შემთხვევაში რობოტ-ნაგაზი მწყემსის ფუნქციებსაც შეასრულებს. გაზეთის ინფორმაციით, იაპონიის კომპანია „სონიმ“, რომელიც უფრო ჰუმანურ მიზნებს ისახავს, შექმნა რობოტ-ძაღლი ბავშვებისათვის. ბრძანების მიღებისას ასეთი „ძაღლი“ იწყებს ბურთით თამაშს, აკანტურებს თავს, აქიცინებს კუდს და შეუძლია „კვალიც კი აიღოს“.

## ლონდონის ეკონომიკა რუსეთის ტოლფასი ყოფილა

„კრისჩენ საიენს მონიტორი“ სტატიას უძღვნის 2000 წლისათვის დასახულ ლონდონის მერის არჩევნებს. როგორც სტატიის ავტორს მიაჩნიათ, არჩევნების მოწყობის გადაწყვეტილება საჭიროებით არის ნაკარნახევი. ლონდონი ევროპის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული დედაქალაქია, და უსამართლობა იქნებოდა 7-მილიონიან ქალაქს უმეროდ რომ ეცხოვრა, წერს გაზეთი. ეს მით უფრო საკვირველია, თუ გავითვალისწინებთ, რა როლს ასრულებს ლონდონი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში. ბრიტანეთის მთავრობის შეფასებით, დედაქალაქის ეკონომიკის მოცულობა შეადგენს 115 მილიარდ დოლარს, რაც რუსეთის ანალოგიური მაჩვენებლის შესადარია და გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე საბერძნეთსა და პორტუგალიაში.

## ვაჰ, დედას თქვენსას, ყოვებო...

ადამიანზე ფრინველთა თავდასხმის უპრეცედენტო შემთხვევა აღინიშნა ომსკის ოლქში, იუწყება გაზეთი „ვეჩერნი ომსკი“. ხუთი წლის ბავშვს მოულოდნელად თავს დაესხა ჭილყვავების გუნდი, რომლებმაც იგი მიწაზე დააგდეს იმ მომენტში, როდესაც ამ ფრინველების დაპურებას აპირებდა. ბოლო დროს, ომსკში მკვეთრად გაიზარდა ჭილყვავების რაოდენობა – ისინი საზრდოს ნაკლებობას არ განიცდიან და ბუნებრივი მტრები არა ჰყავთ.



ბანგლადეშის ჩრდილო-დასავლეთში წყალსადენის სვეტები დარიშხნით არის გაჭუჭყიანებული. ეს ქალიც სწორედ ასეთ შხამიან წყაროსთან მუშაობს.

## ბიდესთან – მეტროს ჟეტონით

უახლოესი ორი წლის მანძილზე მოსკოვში დაიდგმება 40 ავტომატიზებული ფასიანი საპირფარეშო, ამასთან ათი მათგანი ინვალიდებისათვის იქნება განკუთვნილი, წერს გაზეთი „ტრუდი“. ვინაიდან რუსეთის მრეწველობა ასეთ პროდუქციას არ უშვებს, საპირფარეშოებს შეიძენენ ამერიკის კომპანია „უოლისაგან“, 110 ათას დოლარად ცალს. სანტექნიკური მოწყობილობის მომსახურების საფასურის გადახდა მეტროს ჟეტონებით იწარმოებს.





⇑ პაპანაქება სიცხეა ამერიკის ოჰაიოს შტატში. ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების ნებიერა ნიანგ ალისაც კი დასცხა. სწორედ ამიტომ აგრილებს პატრონი შხაპით.

⇐ 40 გრადუს სიცხეს ძნელად იტანენ არა მარტო ადამიანები, არამედ ძაღლებიც. სწორედ ამიტომ აბანავებენ ეს ალმაათელი ბავშვები თავიანთ ნებიერას აუზში.

## მართლმადიდებელთა და მაჰმადიანთა ერთიანობა

ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნის მართლმადიდებელმა და მუსლიმანმა მღვდელთმსახურებმა გააკეთეს ერთობლივი საპროტესტო განცხადება, იუწყება გაზეთი „თათრეთის რესპუბლიკა“. ამის საფუძველი გახდა სკოლებში სექსუალური აღზრდის ახალი კურსის შემოღება. რელიგიურ მოღვაწეთა აზრით, ბავშვთა მიერ სქესობრივი აქტის დეტალების შესწავლა ნეგატიურ გავლენას მოახდენს მათს ფსიქიკასა და ზნეობრივ ჯანმრთელობაზე.



რუსეთში პიონერთა ბანაკების ნაცვლად ყველგან იხსნება ბავშვთა სამხედრო ბანაკები. აქ ყოველწლიურად [illegible] 17 წლამდე ასაკის ყმაწვილები.

## დენომინაცია – იოლი გამდიდრების წყარო

იაროსლავლის ოლქში (რუსეთი) უკვე გამოჩნდნენ თაღლითები, რომლებიც თავიანთ მაქინაციებში იყენებენ ფულის ნიშნების მომავალ გადაცვლას, წერს გაზეთი „სევერნი კრაი“. თაღლითი ქალი, რომელიც თავის თავს სოციალური დაცვის წარმომადგენელს უწოდებს, სოფლის პენსიონერებს მოუწოდებს გადასცენ მას მთელი დაგროვილი ფული, რათა შემდეგ სანაცვლოდ ახალი კუპიურები დაურიგოს. „აფერისტ ქალს ძირითად არგუმენტად მოჰყავს პრე[illegible] კაცება, რომ რეფორმა [illegible]ელის“, – დასძენს გაზეთი.

## მაინც, ვინ არიან მძარცველები – გერმანელი ნაცისტები თუ შვეიცარიელი ბანკირები?

20-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის, შვეიცარია, მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ეძღვნება ნაცისტთა მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ნაძარცვი ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის ბედ-იღბალს, იუწყება „დეილი ტელეგრაფი“. კონფერენცია ლონდონში გაიმართება მიმდინარე წლის დეკემბერში. მისი მონაწილენი შეეცდებიან გაარკვიონ, რამდენი ოქრო და ძვირფასეულობა მიიტაცეს ნაცისტებმა [illegible] თად, ომის დამთავრებისთანავე, შვეიცარიამ მოკავშირეებს გადასცა 400 მილიონი გირვანქა სტერლინგი თანხის ფასეულობანი, მაგრამ, როგორც ახლახან გამოქვეყნებული დოკუმენტები მოწმობენ, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია სახსრებისა, ამ ქვეყანამ რომ მიიღო ნაცისტებისაგან. სხვა ნეიტრალური ქვეყნები – შვეცია, ესპანეთი და პორტუგალია, ალბათ, ასევე იღებდნენ ოქროს ნაცისტებისაგან. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მათ მნიშვნელოვანი თანხები გადარიცხეს ომის ბოლოს ბრაზილიისა და არგენტინის ბანკებში.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება არჩილ [illegible]

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

# მზია ჩხეტიანი

### ვაითუ...

თქვენ არ იცით და მე თქვენ მიყვარდით
ადრე, ძალიან ადრე, სიზმრებში...
მზით მოხილ პორფირს წამოვიხხამდი,
და ცვრით დანამულ ვარდებს გიკრეფდით.
მერე წეროთა გუნდებს ვატანდი,
ვითარცა ლოცვებს, წრფელს და
მხურვალეს...
ვაითუ... ყველას ქარში ფანტავდით,
წყალში არ ჩადგით, არ მოუარეთ!
ვაითუ... მაგრამ რაღა აზრი აქვს! —
მე ხომ დღეს უკვე არ მესიმზრებით!
თქვენთვის ვარდები მოაქვთ ბაზრიდან,
და მეც სიზმრებში აღარ ვიზრდები!
აღარ მივფრინავ ხის კენწეროდან
ოქროდ დაფერილ ღრუბლის ქულაზე
და აღარ ვატან გუნდებს წეროთა
სიზმრად დაკრეფილ ვარდებს, უნაზესს!

### მე მომკლავს ლექსი

მე კალმით ხელში მოვკვდები, ალბათ,
როგორც მებრძოლი მახვილით ხელში!
მე რითმა მომკლავს, თუ მომკლავს,
ალბათ,
რითმა, გულივით გაჩრილი ყელში.

შემელებება სტრიქონი სისხლით,
რიტმშიაც ცრემლის გაჟონავს ბზარი!
მე ლექსი მომკლავს, ნამდვილად, ვიცი,
ცეცხლმოდებული ვარვარა პწკარი!

გადამყვლება ცრემლების თქორი
სიმარტოვეში გვემულს და მარტვილს...
მე მომკლავს ლექსი, მწარე და შორი,
როგორც ოცნებით ნაძერწი ხატი!

### მორევი

ნაწვიმარია ისევ გზაწვრილი,
ცრემლი აფრქვია ტოტმაც, ცვრიანმა,
ჭირის ხალამურს უკრავს ყმაწვილი,
მაგრამ წიქარამ დაიგვიანა.
ორჯერ დაღამდა, ორჯერ იალა,
ხმობს ხალამური მთელი ორი დღე,
მაგრამ წიქარამ დაიგვიანა,
ვაითუ, სულაც ვეღარ მოვიდეს!
ავად ფუთფუთებს შავი მორევი...
საით უბიძგებს ობოლს მაცილი?
გზის გასაყარზე ორთიან წნორები,
ცა იქუფრება ბერი კაცივით!

11/VI-97

### მონატრება

წვიმს, მენატრება ჩემი ტკბილი სოფელი,
სახლი...
„ცინკის“ ხრიალა სახურავზე
წვიმის წკარუნი...
ახმობდა წვიმა და ღელის ხმა
ვიღაცის მახილს,
ცა მოდიოდა მირს —
სიმღერით და სიხარულით.
გადმოხრილიყო ჩვენი ვაშლი
დაღლილი ტოტით,
მმზერდა ტოტს მიღმა
უხილავის მშვიდი თვალები...
იმ მშვიდი მზერით
ვიღაც, ხშირად, აქაც მიმოდის,
კვლავ უხილავი,
მაგრამ ტკბილი და საყვარელი!

### სარკის ნატეხი

აქ, რასაც ხედავ, მხოლოდ ბლეფია!
მაგ შენს ხელებში განა მზე
ბრწყინავს! —
ის არის ძველი სარკის ნატეხი,
იქ, ბავშვობაში რომ გისახსოვრეს...
თუ თვით გიჩხვლიტა ფერწასული
ფოთლის გროვაში,
მორიგ, ხვედიან ფოთოლცვენისას!
ქარმა ჩაახშო მერე შენი ხმა
და ჩაგიბრუნა ცრემლები ყელში.
ო, იმ ხვედიან ფოთოლცვენისას!
ახლა ყოველი მატგანი, ბნელში,
იმ უნებლიე სიზმრებში კვნესის,
გარდასულ დროს რომ გამოჰპარვიან
და შენს გულს, ნატკენს, აწრიალებენ!
თავი ანებე! თავი ანებე
ყველაფერს, რასაც ოცნება ჰქვია...
არ გაპატიებს ეს სოფელი სასტიკი,
მკაცრი.
სარკის ნატეხიც იმად გიმღვნა,
ცივი და ბასრი
და ეს ჭრილობაც, ძველთა ძველი,
აქამდე ღია,
რომ მათვე მოგკლან ადრე თუ გვიან!

### დედა, გამოდგი აკვანი

„მე შენი მუმუს ნათელი“...
გ. ლეონიძე.

ტოტებზე დასხდნენ კვირტები,
როგორც ჩიტები, ღაბუა...
ღვთიური მადლით ირთვები,
დღესაც ღვთის მადლი გამოაქვს.

სიყვარული და თაყვანი,
რომ ღმერთმა არ მიგვატოვოს!

დედა, გამოდგი აკვანი,
ნუშის ყვავილმა ათოვოს!
ქარმა უმღეროს ნანინა
ტკბილ ქართულ ხმათა, კილოთა,
მზემ, ლოცვით ამოყვანილმა, უცინოს
ლილო-ჭრილოდან. —

იის თვალებში ჩამდგარი
ღვთისმშობლის ცრემლის კამკამით...
დედა, გახულა ზამთარი!
მზეზე გამოდგი აკვანი!
აენთე, როგორც სანთელი,
რომ ერმას ღვთის მადლმა აწვიმოს
და „შენი მუმუს ნათელი
საქვეენოდ გამოაბრწყინოს...“

### ვარ ანგელოზი

ქალთა უფლებები სად და როდის
არ ირღვეოდა! ასეა ახლაც – ქალი
იჩაგრება ყველგან – ოჯახში,
საზოგადოებაში, სამსახურებში...
სინამდვილიდან.

ვის რა შევწირო, თუ არ ისარა
ხულმა ზედაშედ, ვაზის ლერწივით!
მე, რა თქმა უნდა, ვიცი, თიხა ვარ,
მაგრამ ღვთისგან ვარ გამოძერწილი!
თუმცაღა გული ბევრჯერ მეტკინა,
მაინც არ გავხდი ბედის მორჩილი!
ვიცი, ბატონო, შენი ნეკნი ვარ,
მაგრამ სხვა თარგზე ვარ გამოჭრილი!
თიხა ვარ, მაინც მაღლა მეწევა
სინატიფე და სულის სინაზე,
ყოველ საქმეში შენი შემწე ვარ,
ჩემი ნათელი თუ დაინახე!
მე იმად შემქმნეს შენი ნეკნიდან,
დაგციმციმებდე, როგორც ვარსკვლავი,
ვიდრე შენგანვე არ დავბეკნილვარ,
არ გაგითხრია ჩემი საფლავი!
მაშ, ნუ ჩამიქრობ ამ მზის წყურვილს და
ცად ლტოლვის სურვილს,
მჭვირვალს ცრემლივით...
ანგელოზი ვარ შენი ფუძისა,
შენდა გზამკვლევად ვარ მოვლენილი...

### ამჯერად

შენ ისევ ცოცხლობ...
მაინც რას ელი?!
ჩათავდა ველი, ვრცელი, ფერადი...

ყველა პერანგი გაგიცვდა,
მრთელი
შემოგრჩა ერთი — ეკლის პერანგი!
როგორ აწუდება სარკმელს ვერაგი
მალმომრეობა სარბი და ბილწი...

მაინც რამდენჯერ?!
რამდენჯერადი
სიკვდილით გკლავენ!
ცოცხლდები, იწვი...
ვიღაც გამორბის ცეცხლში...
ვინ არის?!
ვინ გაგიქარვებს სადარდელს, ულევს?!
თუ სიყვარულის ლექსი, მტკივანი,
ისევ გფლეთს, ისევ გასკდება გულზე!
მაშ რაღას ნაღვლობ, კვლავაც ინატრე
შენც სიყვარული... ისევ, სასჯელად...
ვიღაც გამორბის...
იქნებ სიმართლე
და სიხარული მოაქვს ამჯერად!

### თუკი გადავრჩით...

გიორგი წერეთელს

მზე შუბის ტარზე გადაიხარა,
მაგრამ კარგა ხანს არ ჩავა ჯერაც...
კვლავ მიაკითხავს ობოლს წიქარა
და ცრემლს შეუშრობს, საბრალოს,
მჯერა!

მზე შუბის ტარზე გადაიხარა,
შეთრთოლდა ობლის ხეზე ფოთოლი...
ვინ ვისი ჯავრი რისთვის იყარა,
ვის აუტირდა ლექსიც... ობოლი!

თუ გადავურჩით ხევდას, მოწოლილს,
გულმა, მტკივანმა, არ გვიღალატა,
და ბაბილონის ესე გოდოლი
სხოვნასღა შერჩა მწარე ბალადად,
გავუყევეთ მაშინ გამზირს, ერთხელაც,
შენ, ლიდა, ცირა, მე... კიდევ სხვანიც
და ვნახოთ, ოდეს სიო ემთხვევა,
ტოტს რა ათრთოლებს, შემოსილს
მწვანით.
ჩამოვსხდეთ მერე, სადმე, ერთხელაც
ლექსზე, რითმებზე, რიტმზე კამათით...
ჩვენ გეტყვით, რომ შენ არ შეგეხება
დროის მსახვრალი ხელი, ჯალათი!
რომ მია შიოს, მაყვალას ლექსებს
ხმას უწყობს შენი ლექსის სტრიქონიც...
რა ვუყოთ, თუ კი დღეს ყოვლის
შემძლე
სიხარულს ასე მუნწად გვიწონის! —
ლურჯ მთებს ხომ მაინც, ჩამავალ
მზეზე,
წითლად უელავთ ნისლის ქიტონი!

14/V — 97

## ღვაწლი

# ქართული თეატრის მემატიანე

ქართული თეატრის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის, კრიტიკოსისა და ესეისტის ვასილ კიკნაძის ხანგრძლივი და უაღრესად ნაყოფიერი შრომა „ღირსების ორდენის“ მინიჭებით აღინიშნა.

თუ საქართველოში ვინმეს შეუძლია, ამაყად ატაროს ეს ორდენი, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი სწორედ ვასილ კიკნაძეა.

დღეს იგი, მართლაც, ღირსეული წარმომადგენელია ქართველ მოღვაწეთა იმ თაობისა, რომელიც, პოლიტიკური თუ სოციალური ქარტეხილების დროსაც, მტკიცედ იდგა და დგას თავის ზნეობრივ პოზიციაზე და უმაღლეს მიზნად ქვეყნის ინტერესები მიუჩნევია.

თავის თეატრმცოდნეობითს ძიებებში, თეორიულ თუ პუბლიცისტურ წერილებში იგი ცდილობდა ჯერ ბოლომდე შეუსწავლელი საკითხების შესწავლასა და დამუშავებას. მისი წიგნები (რომელთა რიცხვი ორ ათეულს აღწევს), მრავალზე-მრავალი გამოკვლევა სწორედ ორიგინალობით, სიღრმითა და პირველადობით გამოირჩევა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიდი რეჟისორის – სანდრო ახმეტელის სახელის ხსენება არ შეიძლებოდა, იგი შეჭიდა ქართული თეატრის ამ რეფორმატორის შემოქმედების, მისი თეორიული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლას, მასალების მოკვლევასა და კლასიფიკაციას.

და, როცა დადგა დრო, აღსდგა რეჟისორის სახელი, ვასილ კიკნაძემ ზედიზედ რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა. ამ წიგნებში მეცნიერულ დონეზეა გადმოცემული რუსთაველის თეატრის შემოქმედების გმირულ-რომანტიკული სტილის თავისებურებანი, ამ მიმართულების დამამკვიდრებლის – სანდრო ახმეტელის რეჟისურის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.

თვალშეუდგამი მასალების, ფაქტების, მოვლენების შესწავლის შემდეგ სანდრო ახმეტელისადმი მიძღვნილი წიგნების სერია დააგვირგვინა ბელეტრიზებული მონოგრაფიით, რომელმაც ერთობ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

აქ არ არის არც დრო და არც ადგილი მისი ყველა წიგნის შეფასებისა, მაგრამ, შეუძლებელია, ცალკე არ გამოვყო მისი სერიოზული და ხანგრძლივი შრომის ნაყოფი – „ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები“, სადაც პირველად ასე თანამიმდევრულად და ისტორიზმის პრინციპების დაცვით გაშუქებულია თეატრალური ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტის ძირები ქართულ სანახაობით კულტურაში, სადაც ცოცხლად და სახიერადაა წარმოდგენილი რეჟისორთა პორტრეტები (მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-20 საუკუნის ორმოციანი წლების დასასრულამდე). ამ ნაშრომში უკვე ნათლად გამოიკვეთა სილუეტი იმ წიგნისა, რომლის შექმნასაც მან მრავალი ათეული წელიწადი მოანდომა. ესაა „ქართული თეატრის ისტორიის ნარკვევები“ (რომლის ბეჭდვა უკვე დაიწყო ჟურნალმა „ხელოვნებამ“).



ვასილ კიკნაძის შემოქმედებითი მრწამსის მრავალმნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია, რომ მან ერთგვარი ციკლი შეკრა ქართული თეატრის ღირსებისათვის მებრძოლთა პორტრეტებისა: დაიწყო სანდრო ახმეტელით და დაამთავრა „წამებული რაინდებით“, წიგნით, რომელიც შეიქმნა ე. წ. „სუკის“ ოდესღაც საიდუმლო მასალების დამუშავების საფუძველზე. რეპრესირებულ რეჟისორთა, მსახიობთა თუ სცენის სხვა მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება ამ წიგნში გადმოცემულია დიდი ტაქტით, პოლიტიკური თუ სოციალური რეალიების ფხიზელი შეფასებით.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ მისი საზოგადოებრივი და პედაგოგიური (მრავალი თაობის აღმზრდელია) მოღვაწეობა, მისი პოლემიკური ტემპერამენტი (გარდა იმისა, რომ მრავალი მძაფრი პუბლიცისტური წერილის ავტორია, მძაფრი ორატორიცაა), და ბოლოს, მისი პრინციპულობა, როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ნოდარ გურაბანიძე.

ნარკვევი

# კაკუნა

მიხა ჯილაურის კაკაბეთელ მომღერალთა ლეგენდარული გუნდის ერთ-ერთი ბრწყინვალე თვალი ყოფილა კაკუნა — მიხეილ გიორგის ძე ოქრომჭედლიშვილი. კაკუნა ანუ კაკანა მისივე ბიძაშვილსა და სულის მეგობარს გიორგი ოქრომჭედლიშვილს შეურქმევია — დომანას რომ ეძახდა სოფელი. დომანა კურდღელას ნიშნავს და თავისი სიმკვირცხლისა და სიფიცხის ნიშნად შეურქმევიათ კაკაბეთის ბოლოს, იერისპირასმოსახლე აზერბაიჯანელებს, მასთან მტერმოყვარეობა რომ ხშირად ჰქონიათ და მისი ვაჟკაცობაც კარგად ხსომებიათ, მარტო იმის გამო, რომ მენშევიკმუსავატელთა შეჯახების დროს დომანას მათი სახელგანთქმული და დაუმარცხებელი სოინა მოუკლავს. შიშიც ჰქონიათ მისი, ხათრიც და პატივიც. თვითონ თუ სოინას დიდგულობის იმედით იყვნენ, კაკაბეთელებს დომანა ეამაყებოდათ, როგორც უშიშარი და გაბედული ვაჟკაცი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ემსხვერპლა. სწორედ იმ დომანას შეურქმევია კაკუნა თუ კაკანა. უფრო კი კაკანა, რაკიღა ჯილაურის შემდეგ ხმას ისე აკაკანებდა, ურმულს რომ მღეროდა, მსგავსი რამ სოფელს არ სმენიათ.

ჯილაური, კაკუნა, დომანა და ჩურჩხელა — განუყრელი მეგობრები ყოფილან და ურთმანეთოდ წყალს არ დალევდნენო. ხან ერთთან გატეხდნენ პურს, ხან — მეორესთან.

ჩურჩხელა ვინღაა? ისიც გიორგი ოქრომჭედლიშვილია. ერთი დომანა და მეორე — ჩურჩხელა, პირველი პავლეს ბიძე და მეორე — ქორიასი, მაგრამ რაკი ქართველებს მამის სახელით მიმართვა არ ემარჯვებათ, ერთს დომანად იცნობდნენ და მეორეს ჩურჩხელად — მოხდენილი ტანისა და სიმაღლის გამო.

ჩახლეჩილი კი არა, თითქმის ჩახრინწული ხმა ჰქონდა ჩურჩხელას, მაგრამ ისე ტკბილად მღეროდა, თვით სახელოვან მიხა ჯილაურსაც კი არ ერცხვინებოდა მასთან სიმღერა.

რაც შეეხება დომანას, მომღერლად არავინ სთვლიდა სოფელში — როყინა ხმა ჰქონდა, მაგრამ იმ როყინა ხმით ბანს აძლევდა ორ მოკაკანე და ერთ ჩახრინწულხმიან მომღერალს და საამური სიმღერა გამოსდიოდათო სუფრაზე.

სოფელს დღესაც ახსოვს მათი სიმღერა. კაკუნას ურმულზე კი ლეგენდები დადის. როცა კოლმეურნეობები ჩამოყალიბებულა, კაკუნას არ უსურვებია კოლმეურნეობაში შესვლა და კერძო მეურნეობა გაუგრძელებია. ჰყოლია კარგი — კაკუნას საკადრისი ხარ-კამეჩი, ჰქონია ლამაზად შეკრული ურემი, სახნავ-სათესი და, როცა ხარგამოშვება შეიქმნებოდა, დაამთავრებდა მუშაობას, შეაბამდა ურემს, დაჯდებოდა კოფოზე და ჭალიდან სოფლამდე გაჭიმულ შვიდკილომეტრიან გზაზე ტკბილად აკაკანებდა თავის საყვარელ ურმულს.

— კაკუნა მღერის!.. კაკუნა მღერის!.. — შინიდან გამორბოდნენ დიდები თუ პატარები მისი ხმის გაგონებაზე და ვახშამს აღარ უბრუნდებოდნენ, სანამ სოფლის სიღრმეში არ მისწყდებოდა მისი ჯადოსნური სიმღერა.

ხუთი-ექვსი წლისას მეც მომისმენია კაკუნას სასწაულებრივი ჰანგი. პირველად სწორედ ვახშმობისას შემოგვესწრო მისი სიმღერა. მამაჩემს ერთბაშად პირში ლუკმა გაეყინა და გაირინდა.

— რა იყო? — შენიშნა დედაჩემმა.

— ვერ გაიგე, კაკუნა მოდის?!. კაკუნა მღერის! — უპასუხა მამაჩემმა, ვახშამი მიატოვა და აივანზე გავიდა, — გამოდით, შვილო, თქვენც მოისმინეთ!

და-ძმანი გარეთ გავცვივდით და სმენად ვიქეცით.

„ალზევანს წავალ მარილზეე, მარილს მოვიტან ბროლსაოოოო... ჯერ დედას გადავეხვევიი, მერე შვილსა და ცოლსაოოო...“ სულ ახლოს, ჩვენი სახლიდან ასიოდე ნაბიჯზე ზარივით წკრიალა ხმით მღეროდა ჩემთვის უცნობი ადამიანი და ვგრძნობდი, რომ სული თანდათან მინათდებოდა. რაღაც უცხო სამყაროში გადავდიოდი, საიდანაც უკან დაბრუნება აღარ მეწადა. მუხლი მომეკვეთა, კედელთან ჩავჯექ, ზურგით მივეყრდენ და ალბათ მაშინ ვიგრძენი პირველად სიმღერის ძალა.

ვუსმინე, ვუსმინე და... სიმღერა აღარ თავდებოდა. თანდათან მშორდებოდა, სოფლის სიღრმისკენ მიიწევდა, მკრთალდებოდა და უფრო ტკბებოდა. მეგონა, ჩემთვის მღეროდა, ნანას მიმღეროდა და მაძინებდა. ამასობაში მართლაც ჩამძინებოდა და უვახშმოდ დავრჩი. მას შემდეგ ყოველ საღამოს ველოდი კაკუნას სიმღერას. უფრო ადრე ვივახშმებდით ხოლმე და აივანზე გამოვდიოდით. მოუთმენლად ველოდით კაკუნას ურმის ამოვლას. ყოველთვის არ გვიმართლებდა იმედი.

— ალბათ, დღეს მინდორში არ წავიდა. მაგას ტყეშიც აქვს სახნავ-სათესი. — გვეტყოდა მამა და სასიამოვნო მოლოდინს მეორე დღისთვის გადავდებდით.

მერე მამაჩემი დააპატიმრეს, 1936 წლის ნოემბერში. ექვს წელზე მეტისა ვიყავი. დიდად განვიცადე მისი დაპატიმრება და თითქმის ყოველ საღამოს ვტიროდი. ჯიუტად მოვითხოვდი: მამა მინდა-მეთქი. ტირილზე კაკუნას სიმღერა მომისწრებდა ხოლმე და ის მამშვიდებდა. მერე დაზამთრდა, შინ შევიბუდეთ და აღარც სიმღერის ხმა ისმოდა. როცა გაზაფხულდა და ისევ ახმაურდნენ მინდვრიდან მომავალი მეურმეები, საღამოობით ისევ გამოვდიოდი აივანზე და ნუგეშად კაკუნას ურმის ამოვლას ველოდი.

— მანდ რას უზიხარ, შვილო, რატომ შიგნით არ შემოხვალ? — მკითხა ერთხელ დედაჩემმა, როცა შემნიშნა, რომ კიბეზე ჩამომჯდარს მეყვინთებოდა.

— კაკუნას ველოდები.

— ვის ელოდები?

— კაკუნას სიმღერა მინდა მოვისმინო. მალე ამოივლის!

— კაკუნა ველარ ამოივლის, შვილო.

— რატომ?

— დააპატიმრეს. ციხეში წაიყვანეს მამაშენივით და აღარ ამოივლის.

— რატომ? რატომ წაიყვანეს ციხეში? — ისე ვუყვირე დედაჩემს, თითქოს ის ყოფილიყოს დამნაშავე.

— არ ვიცი, შვილო, ტროცკისტი ხარო, ასე უთქვამთ და იმან კი სიმღერის მეტი არაფერი იცოდა ამ ქვეყანაზე.

— რას უზამენ? მოკლავენ?

— რაც მამაშენს უყვეს... იქნებ გამოუშვან კიდეც: კარგი სიმღერა რომ იცის.

იმედი მომეცა. ვახშმობის შემდეგ მაინც გამოვდიოდი და დაჟინებით ვუსმენდი იმ ჯადოსნურ ხმას, რომელმაც ხუთი წლის ბავშვი სიხარულს მაზიარა.



გადიოდა წლები და აღარსად ჩანდა არც კაკუნას ურემი და არც მისი სიმღერა. ამასობაში წამოვიზარდე. საშუალო სკოლაც დავამთავრე, უნივერსიტეტიც, ჟურნალისტიკასა და მწერლობაშიც ფეხი შევდგი, ხანდაზმული კაციც გავხდი, მაგრამ ჯილაურისა და კაკუნას ურმულის მსგავსი აღარსად მომისმენია. გადავწყვიტე, ჯილაურსა და მის ლეგენდარულ გუნდზე წიგნი შემექმნა და კაკუნას უფროს ვაჟიშვილ გოგიას — თავის დროზე შესანიშნავ მექანიზატორ გიორგი ოქრომჭედლიშვილს ვესტუმრე, ჯილაურზე წიგნსა ვწერ და მამაშენზე, როგორც მის პარტნიორსა და სულის მეგობარზე, რას მეტყვიმეთქი.

გულმოკლულია გოგია. ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა — პაპის სეხნია და რაღაც განუკურნებელი დასხივება ჩამოიტანა საბჭოთა ჯარის უკანასკნელი ნაკადიდან. რამდენიმე ხანს იავადმყოფა და მშობლიურ მიწას მიაბარა სული. თავის პაპასავით უცხოეთში მაინც არ დაიმარხა. მაინც გაუხარდა დამწუხრებულ გოგიას მამის ხსენება. სახე გაუნათდა, იმედის სხივი ჩაუდგა თვალებში. ესიამოვნა, მამამისი რომ ხალხს კვლავ ხსომებია და ქვეყნის მტრად არ მიუჩნევია. რა გითხრა მამაჩემზეო? — მიპასუხა, — ერთი მშრომელი კაცი ყოფილაო. მუშაობა და ხვნა-თესვის გარდა, მეგობრებში დროსტარება და სიმღერა ჰყვარებიაო. ვასილა აბესაძემ მიამბო, თავის ბალღობაში როგორ ახლდენებია მამაჩემის ურმულს, შარამდე როგორ მოჰყოლია და ცხვარი რკინიგზის ქვემოთ, როგორ დარჩენიაო. სიმღერა როცა შეწყვიტა, მაშინღა გამოვფხიზლდი, მივიხედე, ცხვარი აღარსადა ჩანდა და თავზარი დამეცაო... მეც კარგად მახსოვს მამაჩემის სიმღერა. ან როგორ არ მეხსომება, თორმეტ-ცამეტი წლისა ვიყავი, როცა დააპატიმრეს. კაკანას სერს რომ ეძახიან ტყეში, მანდ მიწა გვქონდა, ვხნავდით და მღეროდა ოროველას. მეც მამღერებდა. ურმით მივდიოდით და ურმულს ვმღეროდით. სიმღერა ვიცი, მაგრამ ხმას რა ამომაღებინებს ჩემი მიშიკოს დამკარგავს? ჩემი დებიც მღეროდნენ, დისშვილებიც მღერიან, მათი შვილიშვილებიც, ჩემი ქალიშვილებიც, ძმაც, ძმისშვილებიც, მაგრამ რაღა გვემღერება? შენც ხომ ნახე, კუბოში როგორ იწვა ჩემი მიშიკო? მამა მოუკვდეს!..

— მამაზე მიამბე, კაკუნაზე! — ვცდილობ, ცრემლებს გადავარჩინო და დაწყებულ ამბავს ვახსენებ, — კაკანას სერზე ადგილი გქონდაო? მაგიტომ ხომ არ ეძახიან კაკანას სერს?

— მგონი მაგიტომ ეძახიან. კარგად არ ვიცი. ისეთ ოროველას დასძახებდა ხოლმე, სახრის გაქნევა არა მჭირდებოდა, კვალი ისე გაგვქონდა. გითხარი, ვმღერივართ-მეთქი, მაგრამ ჩვენი სიმღერა რა სახსენებელია? ბევრ კარგს ამბობენ მამაჩემზე. ავი კაცი არა ყოფილა, მაგრამ მაშინ ხომ ყველა კარგი ხალხი დააპატიმრეს. ერთი სიტყვით, კაიკაცობა არაფერს გიშველის, იღბალი თუ არა გაქვს.

უიღბლო ყოფილა კაკუნა თავიდანვე. სოფლის ბოლოზე სახნავ-სათესი ადგილი ჰქონია. დღესაც კაკუნასეულ მიწას ეძახიან. ხნავდა ამ მიწას და მღეროდა ოროველას. იქვე ახლოს ულამაზეს გოგოს უცხოვრია — ნინა პავლიაშვილს. ამ ხმის გაგონებაზე მოიხიბლა თურმე და უზომოდ შეუყვარდა. შეუყვარდა ისე, რომ, კაკუნა როცა იქ არ იყო, ის პატრონობდა ჯეჯილებს — პირუტყვს არ უშვებდა. ხალხი კაკუნას მეველეს ეძახდა თურმე, მაგრამ ქალიშვილს არ სწყინდა, ეამაყებოდა კიდეც. დიახ, კაკუნას მეველე ვარ და შიგ არაფერს შეგაშვებინებთო. როგორც კი კაკუნას ხმას გაიგონებდა, თურმე, შინ ველარ აჩერებდნენ. ეზოზე გამოდიოდა, ჯეირანივით მოიღერებდა ყელსა და სულმოუთქმელად უსმენდა კაკუნას ჯადოსნურ სიმღერებს: „ოროველასა“ (ხვნის დროს), „ეგა-ოგასა“ (მკის დროს) თუ გაუხუნარი სიყვარულის სიმღერას: „დიანბეგო, ქალს გიქებენ... გადმოდგება აივანზე, ათამაშებს ბროლის თითებსო...“

დიახ, ათამაშებდა ბროლის თითებს და ლვივდებოდა მათი სიყვარული. და როცა ორივეს გული დაბუგა ამ სიყვარულმა და ერთსულ და ერთხორც უნდა ქცეულიყვნენ, მოხდა სამწუხარო და ძნელად დასაჯერებელი რამ:

კავთობის დღეობაზე ყოფილა ნინა. უბედნიერეს და ულამაზეს ქალიშვილს სახეზე თურმე ღიმილი დასთამაშებდა და ეს ღიმილი ყველას ცეცხლს უკიდებდა. მის უზომო ბედნიერებას უნებურად მისივე თვალები გადმოსცემდნენ და ვისაც მიანათებდა, ნეტარებას განაცდევინებდა. ერთ ჭერემელ ჭაბუკს, ველარ გაეძლო ამ ცეცხლისათვის, გადამხტარიყო და ეკოცნა ლამაზი ქალიშვილისთვის. ეს რომ კაკუნას ყურამდე მისულიყო, გული დასწყვეტოდა: სხვის ნაკოცნს ველარ შევირთავო.

ასე უიღბლოდ დამთავრებულა მათი სიყვარული. ის ნინა სხვა ლამაზ ბიჭს შეურთავს საგარეჯოში, კაკუნას კი სხვა ლამაზი ნინა მოუყვანია და ოთხი მომხიბლავი შვილი გასჩენია — ორი ვაჟი და ორი ქალი, მაგრამ იმ სიყვარულის ფასი სულ სხვა ყოფილა. მაინც ბედნიერი მამა იყო, ავადსახსენებელი ოცდაჩვიდმეტი წელი რომ არ შესულიყო მის ოჯახში. უფროსი შვილი თუ მოსწრებული დარჩა, უმცროსი ახალშობილი დატოვა აკვანში და ციხე-ციმბირის გზას ისე გაუყენეს. განა შეიძლება, მეტი უიღბლობა? თუმცა ვინღა დარჩა მის გვერდით იღბლიანი? მისი სულის მეგობრები დომანაც იმ წელიწადს დააპატიმრეს და ჩურჩხელაც. ჩურჩხელას თუ ლამაზი ცოლის გარდა არავინ დარჩენია, დომანამ შვიდი შვილი დააობლა. რაც შეეხება მიხა ჯილაურის ცხოვრების ტრაგედიას, ეგ უფრო დიდი და მტკივნეული საკითხია.

ეს წერილი დასაბეჭდად მქონდა გამზადებული, გოგია რომ სასაფლაოზე შემხვდა და, რაკი გაიგო, ჯერ არ დამებეჭდა, შემეხვეწა, ერთხელ მამაჩემი დაგვეკარგა და, თუ შეიძლება, დაამატეო. დამაინტერესა და, აი, რა მიამბო:

ერთხელ მამაჩემი კახეთში დაპატიჟა ცოლისძმამ ღორის დაკვლაზე (გარეკახელები შიგნითკახეთს ეძახიან კახეთს). ერთი დღე-ღამე უნდა დარჩენილიყო და ერთ კვირასაც აღარ გამოჩნდაო. დედაჩემმა თავისი მაზლი ვანო — წუკანას რომ ეძახდნენ, ის გაგზავნა ამბის გასაგებად. წავიდა და აღარც ის დაბრუნდაო. ორი კვირა ველოდეთ და აღარ მოგვივიდნენო. მერე თვითონ დედაჩემი წავიდაო თავის ძმასთან და შინ არ დახვედრონდნენო. სად არიანო, დედაჩემს უკითხავს, და — აქ რომ ღორი დაკლეს და იმღერა, იმის შემდეგ მთელ სოფელში, სადაც კი ღორი დაიკვლება, ყველგან ეპატიჟებიან და ამღერებენო. რომ არ მოგვეძებნა, ალბათ, მთელ ზამთარს არ გამოუშვებდა სოფელი, სანამ ღორების დაკვლა არ დამთავრდებოდაო. აი, ვინ იყო კაკუნა და როგორი ჰანგები წაილო თან ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტიოდე წლის ვაჟკაცმა. ვინც ერთხელ მოისმენდა მის სიმღერას, არ შეეძლო მაშინვე აღტაცებით არ ეთხოვა, ერთხელ კიდევ იმღერეო, შენი ჭირიმე!

**გიორგი პაპუაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№192, კვირა, 10 აგვისტო, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუნჯე

# გავუფრთხილდეთ ქართულ ხალხურ სიბრძნეს

იუმორის გრძნობა ქართველი კაცის გამორჩეული თვისებაა. ქართული იუმორი უაღრესად მდიდარი და კოლორიტულია. მრავალფეროვანი და დამახასიათებელია იგი რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებშიც. ყველა კუთხეში მას რაღაც სპეციფიკური ელფერი აქვს.

ქართული იუმორი ფართოდაა მომფანტული ხალხში. რამდენი სიბრძნეა ჩაქსოვილი კახურ, მეგრულ, ქართლურ, გურულ, სვანურ, რაჭულ, აჭარულ, რაჭა-ლეჩხუმურ და საქართველოს სხვა კუთხეების იუმორში. სამწუხაროა, რომ ამ ხალხური სიბრძნის გარკვეული ნაწილი, რომელიც ზეპირად გადადის თაობიდან თაობაში, დაიკარგა, ხოლო იმას, რაც დარჩა (დარჩა კი ძალიან ბევრი) სათუთად უნდა მოვუაროთ.

ხალხური იუმორი საქართველოში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. მისი შეგროვება და შესწავლა უფრო ინტენსიურად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, ხოლო ოცდაათი-ორმოცი წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა ქართულ იუმორზე. რამდენიმე ათეული წელია რეგულარულად გამოდის ჟურნალი „ნიანგი". ამ ბოლო წლებში გამოვიდა ჟურნალი „ღიმილი", რომლის რედაქტორია მწერალი და მეცნიერი რეზო მიშველაძე. ქუთაისში გამოდის ჟურნალი „ასე ხუმრობენ ქუთაისში". გამოიცა ათეულობით ბროშურა ქართულ იუმორზე. ამ საქმეში პატარა წვლილი ამ სტრიქონების ავტორსაც მიუძღვის. 1990 წელს საქართველოს რაიონული გაზეთების რედაქციებს გავუგზავნეთ წერილი და ვთხოვეთ მათ ეთავათ ამ ხალხური სიბრძნის შეგროვება და გამოქვეყნება. რაიონული გაზეთების უმრავლესობა და იუმორის მოყვარულნი გამოეხმაურნენ ჩვენს თხოვნას. ზოგიერთებმა შეგროვილი იუმორი ჩვენ გამოგვიგზავნეს. ისინი გამოვიყენეთ ჩვენს მიერ შედგენილ წიგნებში „მსოფლიოს ხალხთა ანეკდოტები" (1991 წ.) და „ქართული ხალხური იუმორი" (1996 წ).

ქართული ხალხური იუმორის შეგროვებისა და გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, არა მარტო რაიონულ, არამედ რესპუბლიკურ გაზეთებს და მათ შორის ერთ-ერთ პრესტიჟულ და პოპულარულ გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას". ჩვენი თხოვნაა გაზეთის ფურცლებზე შეიქმნას რუბრიკა – „იუმორის კუთხე", იქნებ ჯობდეს დავაწესოთ კონკურსი საუკეთესო ქართულ ხალხურ იუმორზე და წავახალისოთ გამარჯვებულნი.

საჭიროა ქართულ იუმორს პროპაგანდა გავუწიოთ ჩვენი ქვეყნის გარეთაც. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის იუმორი თარგმნილია მრავალ, მათ შორის ქართულ ენაზეც. ბულგარეთის პატარა ქალაქმა გაბროვომ თავისი იუმორით მსოფლიოს გააცნო თავი. „გაბროვული ოხუნჯობანი", მსოფლიოს მრავალ (მათ შორის ქართულ) ენაზე გამოქვეყნდა. გაბროველი იმდენად პოპულარული გახდა, რომ ქ. გაბროვოში ტურისტები „მოზღვავდა".

სამწუხაროა, რომ მსოფლიოს და მათ შორის ჩვენი მეზობელი ქვეყნის ხალხები არ იცნობენ ქართულ იუმორს, რადგანაც იგი სხვა ენებზე არ არის თარგმნილი. ამას წინათ თბილისში გამოიცა ჩვენს მიერ შედგენილი წიგნი, ქართული ხალხური იუმორი ინგლისურ ენაზე, რომელიც ქართული იუმორის უცხო ენაზე თარგმნის პირველი ცდაა. იგი გავგზავნეთ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში და იქ მისი გამოქვეყნების იმედი გვაქვს, მათ შორის ისრაელშიც – ქართულ ენაზე.

დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული იუმორი უნიკალურია მსოფლიოში, განსაკუთრებით განუმეორებელია იუმორის ისეთი სახე, როგორიც არის გონებამახვილობა (მახვილსიტყვაობა), იგი სხვა ქვეყნის იუმორებში ასე მოჭარბებულად და გამოკვეთილად ნაკლებად გვხდება. ამბობენ მარტო გურული იუმორი მთელი ქვეყნის მოსახლეობას გააცინებს, ყოველი მეორე გურული გონებამახვილიაო. სამწუხაროა, რომ გურულ მახვილსიტყვაობის შეკრებისა და გამოცემისათვის ძალიან ცოტა რამ კეთდება. იგივე ითქმის იმერულ, მეგრულ, კახურ, ქართლურ და სხვა გონებამახვილობაზე.

შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს, ახლა რა დროს იუმორია, ამ დამშეულ ხალხს რა ეხუმრებაო, ეს უფრო შეიძლება ჩვენზე, აფხაზეთიდან დევნილებზე თქვან. საქართველოს და ქართველობას დღევანდელზე გაცილებით უარესი დღე ბევრჯერ დასდგომია, მაგრამ ხვალინდელი დღისადმი რწმენა, იუმორის გრძნობა, არასოდეს არ დაუკარგავთ და პესიმიზმს არ მისცემიან, იუმორი ამხნევებს, ამხიარულებს, ოპტიმიზმის რწმენას უნერგავს ადამიანს.

ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტის პოლიტოლოგიის კათედრასთან არსებულმა სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა ინსტიტუტის სტუდენტებთან ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა თემაზე: გაქვთ თუ არა იუმორის გრძნობა. გამოკითხული 200 სტუდენტიდან 68 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 24 პროცენტმა – არა, 8 პროცენტმა პასუხისაგან თავი შეიკავა. ინსტიტუტში ხშირად ვატარებთ იუმორის საღამოს.

ინსტიტუტის გაზეთს „ჰუმანიტარი" და ჟურნალ „ბედიას" აქვს იუმორის კუთხე, სადაც ქვეყნდება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა იუმორისტული ნაწარმოებები.

იუმორს, ადამიანები მიმართავენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, პოლიტიკურ მოღვაწეობაში, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს მსოფლიო დიპლომატიაშიც. იოსებ სტალინს ძალიან უყვარდა იუმორი და მას ხშირად იყენებდა თავის გამოსვლებში, თათბირებზე, სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრებზე. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იუნსტონ ჩერჩილიც იუმორის დიდი უნარით გამოირჩეოდა.

იუმორის დიდი გრძნობა აქვს ჩვენს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. ჩვენ ამას ხშირად ვხედავთ და ვგრძნობთ მის გამოსვლებში. თათბირებზე, შეხვედრებზე, ბატონ ედუარდს მსოფლიოს დიპლომატიურ არენაზე ასე წარმატებით გამოსვლაში ნიჭსა და გამოცდილებასთან ერთად ეხმარებოდა და დღესაც ეხმარება იუმორის გრძნობა. ტელე-ეკრანზე და ისედაც არაერთხელ შეგვინიშნავს, თუ როგორ იპყრობს ბატონი ედუარდ შევარდნაძე ფართო აუდიტორიას თავისი შეუდარებელი ღიმილითა და გონებამახვილური იუმორით. თავის წიგნში „ჩემი არჩევანი" ბატონი ედუარდი მიუთითებს, რომ „...იუმორის გრძნობა უბადლო ნიჭია, რომელსაც ძალიან ვაფასებ. ჩემი დაკვირვებით, ეს გრძნობა გამოკვეთილი ინდივიდუალობის აუცილებელი თვისებაა, მისი შინაგანი თავისუფლების უზუსტესი მაჩვენებელია. მომწონს, როცა ადამიანი თავის საქმეს ღიმილით აკეთებს და იცის გონებამახვილური სიტყვის ფასი. ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ და ერთმანეთის გონებისა და გულისაკენ მიმავალ გზებს ვეძებთ, დიპლომატები კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმაგად „გამახვილებული გრძნობების ადამიანები" არიან, რომლებიც კუშტი სახითა და შეკრული წარბებით ვერაფერს მიაღწევენ".

**ვალერიან ჟანია,**
საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## უკვდავი ფესვები




# 3. ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიის რჩეული ნიმუშები

* * *

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო!
ვაი, რა ძნელი ყოფილა
სხვისკენ გავარდნილ თვალიო!

* * *

ქალაუ, შენმა მერდინმა
ჰაერში გაიფრიალა.
სახე გამოჩნდა, თოლებმა
ელვასებრ გაიკრიალა
ცხელმა ნიავმა დამქროლა,
გზად შენკენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემომაყარა
და ჩალად ამაბრიალა.

ჩემი ცხრათა ძმათა მზემა,
მეათისა მამისამა,
აღდგომისა დიდმა დღემა,
შაწირვამან კრავისამა,
შენს თავს არავინ მირჩევნავ,
ფიცმა რა ქნას ქალისამა.

* * *

ჩამალსეთით გავიხედე,
წარბი წვრილად გადგესხარა,
წარბის ჩრდილი პირზე გადგა,
თმა ნისლემურ გადგეყარა,
ერთი კიდევ შამამხედე,
შენი ჭირი შამეყარა.

* * *

მითხარ, თუ ჩემი არა ხარ,
სხვაგან გავხედები ლონესა,
საგონებარში ჩავვარდი,
როგორც კამეჩი მორევსა,
ვიზიდენ, ველარ ამოვხე,
დახედე ჩემსა ლონესა!
წყალს კიდევ დაეძინება,
მე – არა, შენსა მგონესა.

* * *

შენ რო გგონიორთ, ვაჟაო,
არცა ეგეთა ქალნი ორთ,
კოშკნი ორთ კირით ნაგები,
ეკალდამაის[1] კარნი ორთ.
მაღალ მთას გადამდინარნი
წვრილნი ლემადის[2] ქარნი ორთ.
იწრო ხევს ჩამამდინარნი,
ფონთ გაუვალნი წყალნი ორთ,
ცეცხლნი-მინდორში ნაგზებნი,
ვაჟავ, შენს გულზე ალნი ორთ.

* * *

შენ ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირითა,
კახეთ მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნალებო ინითა!
წითელო მოვის პერანგო,
შეიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნაღენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

* * *

ალმასის ფანჯარაშია,
ქალ, დაგინახე პირი მე,
მას აქეთ შენს გონებაში[3]
არ გამივიდა ძილი მე.
ღამეს ვათენებ თეთრადა,
დღე ვზივარ, გგონობ, ვტირი მე,
თუნდ მომკალ შენი ხელითა,
მოლი კი, შენი ჭირიმე.

* * *

აღარ მწადიან ცხვარშია,
ნეტავი დამსვა შინაო,
ფესტამალაად მაქცია,
ქალებს ამაკრა წინაო!
ანამც მაქცია რწყილადა,
უბეში ჩამაძვრინაო,
კარგაის ქალაისადა
ძუძუზე მაკბენინაო.

* * *

სიყვარულმა და ნდომამა
სირცხვილ არ იცის ქალისა.
ნეტავი ნისლად მაქცია,
გადმოვივლიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
სადაც შენა ხნავ ხარითა.

* * *

ტურფა ბაღი და წალკოტი
ეკლითა ვინმემ შეპნარა,
რკინის კარები შეაბა,
კლიტე მე მომცა, შენ – არა,
სიკვდილსა ჭირის სანაცვლოდ
თავსა მე მივცემ, შენ – არა.
ვაი, თუ ეს დამემართოს:
მე კი მიყვარდე, შენ – არა!

* * *

რა ლამაზი ხარ, ქალაო,
თვალ-წარბში გამოსახული,
ნეტავი ჩოხა ჩამაცვა,
ქალაო, შენი დართული.
დამპატიჯოდე ქოხშია,
როცა მოვალის ზაფხული,
ჩამიყაროდე ხინკალი,
თუ წმიდა გექნა დაფქული.

* * *

ცაზედ მიდიან წეროնი,
მწკრივადა, ჯარის-ჯარადა,
ვერა ჰხედავთა, ტიალნო,
ცრემლი ჩამომდის ღვარადა?
წადით, წაიღეთ ამბავი,
არსად დაჰკარგოთ შარადა,
უთხარით, ნუ დამივიწყებს
ქალასა, ტურფას ტანადა,
ნეტარ არ ვაგონდებია –
მე ხომ ვსულდგმულობ ძალადა?

* * *

ცისა ღრუბელნი მიყვარან,
ბოროლაზე რომ დიანო,
ერთი მეორის შეყრასა
ხარობენ, მოელიანო,
შაიყრებიან ერთადა,
მანანას ჩამოჰყრიანო,
რაც უნდა ბევრი ეცადნენ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო.

* * *

გაღმით-გამოღმით სოფლებსა,
შამოჰხვევია ნისლია,
ნეტავი, შენი ჭირიმე,
ნდომას არ მისცა შიშია,
რომ მოვიდოდი შენთანა,
ჩაგეკვრებოდი პირშია,
დაიმალება ხოხობი
შენის თვალ-წარბის ჩრდილშია.

* * *

მყავ ყველა დავიწყებული
ამ ქვეყნად გარდა ერთისა,
მის გამო გულის დარდები
ზღვათა მდინარეს ერთვისა,
მე ჩემ ქუდს ვფიცავ თავზედა,
ქალავ შენს თავზე – მერდინსა,
არ სჩანდი – ჩემთვის ბნელ იყვა,
გხედავდი – გამითენდისა,
კლდის თავზე თეთრო ყვავილო,
სანთელო ქარაფჭებისა.

* * *

მინდორში სისხლის ტბა ბრუნავს,
გადასაგდები სად არი!
შიგა წევს წითელი გველი,
თავსა სძრავს, ბოლო სად არი!
ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი,
მაგრამ გაგება სად არი!

* * *

ავდარშიმც გაგიდარდება,
რო შამახდები მთაზედა.
დაგიქსოვ ჭრელსა წინდებსა,
სუფთად დაგირეცხ წყალზედა.
გამოგიგზავნი მაშინა,
რო იჯდე ნეფის ჯარზედა,
მოვბრუნდე, ტირილ დავიწყო,
გულ დავაბჯინო ქვაზედა.

* * *

შენ, სიყვარულის გამგონევ,
ცეცხლშიაც ჩაიწვებია,
ან კლდეზემც გადავარდები,
ან წყალშიმც დაირჩვებია?
ბევრს აღნობ ყინულივითა,
ბევრის ცოდვაში სდგებია,
ეშმაკის მოგონილი ხარ,
ეშმაკსამც დაურჩებია.

* * *

ქვეყანა ლხინობს, თამაშობს,
ჩემ გული არის მწარეო,
სურვილს არ მამაკლეინო,
გენაცვლე, შამიბრალეო!
ქვეყნისად უბრალუაო,
ჩემდ ამოსულო მთვარეო,
უშენოდ ეგებ არ მოვკვდე,
ღმერთო, შენ შემიწყალეო.

1. ალკდემის.
2. მთის ხუობაში გამკრავ ქარს ლემადის ქარს ეძახიან.
3. შენზე ფიქრში

განყოფილებას უძღვება
**აპოლონ ცანავა.**

## უფასო კონსულტაცია

# რას თქვენ განუხმებთ

### გიპასუხებთ პროფესორი ვალერი ლორია

**შეკითხვა: სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებით მე მომეკუთვნა მეორე კატეგორიის მცხოვრებლის მიწის ნაკვეთი. საკრებულოს შენობა, სადაც მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ დოკუმენტები ინახებოდა, დაიწვა. დღეს კი აღმოვჩნდი მესამე კატეგორიის მიწათმფლობელად. სწორია თუ არა სოფლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება. გივი კაციტაძე, დაბა ხარაგაული.**

პასუხი: მიწის ნაკვეთების განაწილების შესახებ დოკუმენტები ინახება არა მხოლოდ შესაბამისი სოფლის ადმინისტრაციის შენობაში, არამედ რაიონის გამგეობაშიც, ვინაიდან მიწის ნაკვეთების განაწილება ხდება რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. ამდენად თქვენ შეგიძლიათ აღიდგინოთ თქვენი უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

**შეკითხვა: ვარ მონადირეთა კავშირის წევრი და მაქვს ნადირობის მოწმობა. ნადირობის წესების დარღვევისათვის დამაკავეს, შემიდგინეს ოქმი და ჩამომართვეს ნადირობის უფლება ერთი წლით, ამავე დროს მოახდინეს ჩემი სანადირო თოფის კონფისკაცია. სწორია თუ არა ჩემს მიმართ გატარებული ღონისძიებები. თ. გორდელაძე, ვანის რაიონი.**

პასუხი: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ნადირობის წესების დარღვევისათვის ნადირობის უფლების ჩამორთმევას სამ წლამდე და სანადირო თოფის კონფისკაციას. მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი მტკიცედ იცავს მოქალაქის საკუთრების უფლებას, რომლის შეზღუდვა დასაშვებია საზოგადოებრივი აუცილებლობის გამო და მხოლოდ ნივთის ღირებულების ანაზღაურებით. ნადირობის წესების დარღვევის გამო სანადირო თოფის ჩამორთმევა არც საზოგადოებრივი აუცილებლობითაა განპირობებული და არც სხვა გარემოებებით. ამდენად მოცემულ შემთხვევაში სანადირო თოფის კონფისკაცია არაკონსტიტუციური აქტია და იგი უნდა გაუქმდეს. საერთოდ კონფისკაცია და რეკვიზიცია, როგორც სასჯელის ზომა, დღეს გაუქმებულია საქართველოს კონსტიტუციის თანახმად. თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება თქვენი თოფის ჩამორთმევის შესახებ სასამართლოში, ხოლო თუ აქაც ვერ მიაღწევთ თქვენი უფლებების დაცვას, შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 68-ე მუხლის სანქციის გაუქმების შესახებ კონფისკაციის ნაწილში.

**შეკითხვა: ვცხოვრობ პრივატიზებულ ბინაში. ჩემთან ადრე ჩაწერილი იყო ნაცნობი ქალი, რომელიც ორი წელიწადია არ ცხოვრობს ჩემს ბინაში და წასულია სოფელში, იგი მეწერება ჩემს ბინაში სულადობის სიაში და ვიხდი წყლის, დასუფთავების და სხვა გადასახადს მის სახელზე. შემიძლია თუ არა ამოვწერო აღნიშნული პიროვნება ჩემი ბინიდან. თბილისი, რ. მანჯგალაძე.**

პასუხი: საქართველოში ჩაწერა-ამოწერა გაუქმებულია, მაგრამ გათვალისწინებულია მოქალაქეთა მიწერა შესაბამის მისამართზე, რომლის დარღვევა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს. თუ აღნიშნული პიროვნება 2 წელიწადია თქვენს ბინაში არ ცხოვრობს, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სახლმმართველობას განცხადებით და მოწმეთა დასტურით შეგიძლიათ გააუქმოთ აღნიშნული პიროვნების მიწერა თქვენს ბინაში.

**შეკითხვა: გავიგეთ, რომ ეკოლოგიური გადასახადები მავნე გამონაბოლქვ გაზებზე გაუქმდა. ოფიციალური მითითება ამის შესახებ არ არსებობს. აქვთ თუ არა უფლება მოქალაქეებს უარი განაცხადონ აღნიშნულ გადასახადებზე? ქ. თბილისი. პ. შარიქაძე.**

პასუხი: საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ყოველგვარი გადასახადი უნდა დაწესდეს მხოლოდ კანონით. საშემოსავლო, მოგების და სხვა გადასახადები განსაზღვრულია კანონით. მაგრამ ეკოლოგიური გადასახადების შესახებ ჯერ კანონი არ მიუღიათ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ოთარ ზოიძის (ქ. ბათუმი) სარჩელი ეკოლოგიური გადასახადის გადახდისგან უარის თქმის შესახებ და სარჩელი დააკმაყოფილა. თუ თქვენ ეკოლოგიური სამსახური კატეგორიულად გთხოვთ აღნიშნული გადასახადის გადახდას, მიმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს.

## გვწერენ

# მეორედ დაბადება

მინდა მოგიყვეთ იმ გულითად ურთიერთობასა და დახმარებაზე, რომელიც გამოიჩინეს თბილისის ონკოლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილების თანამშრომლებმა პატარა ქეთინო ჭელიძის მიმართ. ქეთი მხოლოდ ორი წლის იყო, აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი რომ დაიწყო. იმავე წელს აფხაზმა ექსტრემისტებმა გაიტაცეს ფოთში მიმავალი კატარღა და მძევლად აიყვანეს მგზავრები. მძევალთა შორის ქეთის ოჯახის წევრებიც იყვნენ — ქეთი, ქეთის დედა, ვენერა ბებია, დაიკო ანა და პაწაწინა ორი თვის ვახო. აბა, წარმოიდგინეთ ეს რა ტრაგედიაა, მაგრამ ისინი ბედმა არ გასწირა, სასწაულად გადარჩნენ და თბილისს მიაშურეს.

თბილისშიც არ გაუმართლდა პატარა ქეთინოს. თბილისის ონკოლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილების პაციენტი გახდა. ექიმების თენგიზ ზუხბაიას და გია შანიძის მადლით ქეთი მეორედ გადაურჩა სიკვდილს. ამიტომაც 1996 წლის 11 ივლისი მისი მეორედ დაბადების დღეა.

ქეთი წელს სკოლაში წავა. 6 წლისას ესმის ყოველივე და უნდა გულით, სულით, მადლიერების გრძნობით, მოესიყვარულოს და მადლობა გადაუხადოს იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს ბავშვთა განყოფილების ექიმებმა გია შანიძემ, თენგიზ ზუხბაიამ, მედდებმა ეთერ წულაიამ და მაია მღებრიშვილმა.

პატარა ქეთის მშობლები დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით იხსენებენ იმ მწარე წუთებში ექიმების მიერ გაწეულ დახმარებას. არ მოკლებოდეს ჩვენს საქართველოს ღირსეული შვილები.

**ზ. ქარაია,**
სოხუმიდან.

## მადლობა

# ეს დიდი ადამიანური თვისება გახლავთ

ლაგოდეხში, სახლის პირველ სართულზე სარდაფი გამიტეხეს და დიდი ზარალი მომაყენეს. მივმართე ადგილობრივ პოლიციას, ცდა უშედეგო აღმოჩნდა. გარკვეული დროის შემდეგ ოფიციალურად მაცნობეს, რომ საქმე დახურეს, რადგან ქურდები ვერ იპოვეს, თუმცა იქვე დასძინეს, რომ სარდაფი მეზობლების გატეხილიაო! აღნიშნულის შესახებ პროკურატურას მივმართე, პროკურორი კეთილშობილი პიროვნება გამოდგა, შეეცადა, მაგრამ ვერც მან შეძლო ქურდების პოვნა.

მიუხედავად ამისა, ლაგოდეხის რაიონის პროკურორი ზურაბ ზურაბაშვილის უზომოდ კმაყოფილი ვარ. ლაგოდეხიდან ტვირთი მქონდა წამოსაღები, ვთხოვე დახმარება, ორჯერ მიშოვნა ტრანსპორტი და თბილისში გამომგზავნა.

ალბათ, წარმოიდგენთ ამ დუხჭირ ცხოვრებაში რომ თავდახრილი ხარ, რეა ლარის შემყურე, მარტოხელა პენსიონერი და სხვა მატერიალური საშუალება არ გაგაჩნია, რა ძიდი ბედნიერებაა ასეთი ადამიანური დახმარება.

აქვე არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა ლაგოდეხის თამბაქოს ქარხნის დირექტორს ჯუმბერ მოდებაძეს იმ სიკეთისათვის, რომელსაც წლების მანძილზე მიწევს. როცა კი გაჭირვებულმა დახმარებისათვის მივაკითხე, ყოველთვის დახმარების ხელი გამომიწოდა და ამას აკეთებდა მთელი გულით. ნუთუ შეიძლება ასეთ ადამიანებს გულით დიდი მადლობა არ გადაუხადო!

**ელენე მერაბიშვილი,**
რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ჟურნალისტი, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი.

## გვეხმაურებიან

# ერის სიმრავლეს რომ წაადგეს

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 15 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულმა მწერალ კიტა ბუაჩიძის პატრიოტული ტკივილით დაწერილმა წერილმა „ვილუპებით“— დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და გადავწყვიტე ჩემი აზრი გამომეთქვა ამის შესახებ.**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მცირეშვილიანობა დღეს მოდად არის ქცეული. ძირითად მოტივად ყველა „ეკონომიკურ სიდუხჭირეს“ იმეორებს, მაგრამ ეს დღეს ხომ არ დაიწყო? ასე არ იყო წინათაც?

დღევანდელ მდგომარეობაში მართლაც ძალიან ძნელია დიდი ოჯახის გამოკვება, კარგად ჩაცმას რომ თავი დავანებოთ. ამიტომ სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა მრავალშვილიანობაზე ზრუნვა უნდა იყოს. ახლადშექმნილი ოჯახისათვის ელემენტარული პირობები მაინც უნდა შეიქმნას.

ვფიქრობ, რომ 30 წელს გადაცილებული მამაკაცების მიმართ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ შექმნან ოჯახები. ჩვენის აზრით, თანამდებობრივი დაწინაურებისას უნდა გაითვალისწინონ ისიც, თუ ვინ როგორი მეოჯახეა, ცოლშვილიანია თუ არა და ა. შ.

გული მტკივა, როდესაც ანგელოზივით მშვენიერი, ასაკს გადაცილებული გოგონები უოჯახოდ, სიბერეში უპატრონონი რჩებიან და დედობას მონატრებულნი სხვისი შესანახები ხდებიან.

ხომ არ იქნება ურიგო, რომ კანონმდებლობას ეთქვა თავისი სიტყვა?

მოვიყვან ერთ მაგალითს. ეს შეიძლება ჩვენი ადამიანებისთვის საჩოთირო იყოს, მაგრამ მაინც გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას. რამდენიმე წელიწადი ვცხოვრობდი აფრიკაში — რესპუბლიკა ზამბიაში, სადაც დაკანონებული იყო, რომ ქალს, თუ ეკონომიკურად არ უჭირდა, ჰყოლოდა შვილები მისგანვე შერჩეული ნებისმიერი მამაკაცისაგან. ეს ხდებოდა იმ სახელმწიფოში, სადაც პროსტიტუცია კანონით აკრძალული იყო. როდესაც კანონი დაიცავს ასეთ დედებს, რასაკვირველია, დედობას მონატრებული ბევრი შინაბერა ბედნიერი დედა გახდება და ეს ერის სიმრავლესაც დიდად წაადგება.

მინდა ეს მოსაზრება საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდეს. მგონია, რომ მხარდაჭერას პოვებს.

და მაინც, საბოლოო სიტყვა კანონშემოქმედებმა უნდა თქვან.

**ვ. რაინაული.**
შპს „ნავთობსამეცნიეროს“ წამყვანი ინჟინერი.


# იყიდება ხორბალი

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „ქეამ“ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან მიიღო ამერიკული ხორბალი. ხორბალი გაიყიდება საქართველოს ტერიტორიაზე და ამოღებული თანხები მოხმარდება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაფინანსებას.

„ქეა“ აცხადებს კონკურსს ამ ხორბლის მთლიანი პარტიის გაყიდვაზე და გაყიდვაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს და კომერციულ ორგანიზაციას.

ხორბლის სპეციფიკაცია და მიწოდების პირობები:

მწარმოებელი ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები;

ხორბლის ტიპი და კლასი — შუშისებური წითელი ზამთრის (მაგარი) ხორბალი, მეორე კლასის ან უკეთესი;

რაოდენობა — 6500 ტონა;

პროტეინის შემცველობა — ამ ტიპისა და კლასისათვის ჩვეულებრივი;

მაქსიმალური ტენიანობა — 13,5 პროცენტი;

მინარევები — 1 პროცენტი ან ნაკლები;

მიწოდება მოხდება გემით, ფოთის ან ბათუმის პორტში, მყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, ჩამოტვირთვა მყიდველის ხარჯზე. სავარაუდო ჩამოსვლის ვადა — 1997 წლის სექტემბრის მეორე ნახევარი — ოქტომბერი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ 9:30-დან 18:00 საათამდე გიორგი ბაჟენოვს ან დავით გაზაშვილს შემდეგ მისამართზე:

თბილისი, პეტრიაშვილის ქ. 42, ტელ: 29-13-87, 29-12-69, 29-15-31, ფაქსი: 29-43-07.

# საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება ეკლესიაში შექმნილი ვითარების გამო

## 3. ემს-ს ეგიდით მიღწეული შეთანხმებების შესახებ (შამბეზის კომუნიკეს მაგალითზე).

მოვიყვანთ აღნიშნული წერილის მე-3 შეკითხვას: „რა შეფასებას აძლევთ თქვენ შამბეზის (ჟენევა) კომუნიკეს (1993 წ.), რომლის მიხედვითაც „მართლმადიდებელთა“ მხარე მონოფიზიტთა საკრებულოს მართლმადიდებლად მიიჩნევს, ხოლო მათ სწავლებას – ქრისტოლოგიურ ერესს (მწვალებლობას) – მართლმადიდებლურად? ამ დოკუმენტის მიღებაში მონაწილეობდნენ ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენლები (საქართველოს მხრიდან წარგზავნილი იყო მიტროპოლიტი დავითი, ასე რომ, საქართველოს ეკლესიამაც მიიღო მონაწილეობა მწვალებლური აქტის მიღებაში). მიგაჩნიათ თუ არა შამბეზის შეთანხმება ქალკედონის IV მსოფლიო კრების ღალატად?“

ჩვენ ვპასუხობთ:

შამბეზის კომუნიკესადმი (ტექსტი იხ. მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალი № 4, 1994) ჩვენი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. მონოფიზიტურ (აღმოსავლეთის არაქალკედონიტურ) ეკლესიებთან მიღწეულ შეთანხმებაში არ ჩანს მათ მიერ IV-VII წმიდა საეკლესიო კრებათა დოგმატების არაორაზროვანი აღიარება. შეთანხმება ძალაში შევიდოდა იმ შემთხვევაში, თუ მას რატიფიკაციას გაუკეთებდა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია. ადგილობრივმა ეკლესიებმა არ მიიღეს აღნიშნული კომუნიკე და ამიტომ იგი არ შესულა და ვერც შევა ძალაში.

ცნობა იმის შესახებ, რომ 1993 წელს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა, მიტროპოლიტმა დავითმა, მონაწილეობა მიიღო ამ ხელშეკრულების მიღებაში, არ შეესაბამება სინამდვილეს, თუნდაც იმიტომ, რომ ის 1992 წელს გარდაიცვალა.

## 4. ერთობლივი ზიარებისა და ლოცვის შესახებ.

ზემოაღნიშნული ბერები არაერთგზის საუბრობენ მართლმადიდებელთა და არამართლმადიდებელთა ერთობლივი ზიარებისა და ლოცვის შესახებ, რაც მათი თქმით, ეკუმენურ შეხვედრებსა და ადგილობრივ ეკლესიებში ხდება. (შეკითხვა 5 და 7). ცნობილია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას არა აქვს ევქარისტიული ერთობა (ერთობლივი ზიარება) არცერთ კონფესიასთან. ცნობა ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიისა და სირიელ მონოფიზიტებს – იაკობიტებს შორის სრული ევქარისტიული კავშირის შესახებ, დაზუსტებას მოითხოვს. გაზეთში „ივერიის გაბრწყინება“ № 18 მოყვანილია მხოლოდ მოლაპარაკების წინასწარი დოკუმენტი (a drast).

ჩვენი პოზიცია აღნიშნული საკითხისადმი შემდეგია:

მართლმადიდებლებისა და არამართლმადიდებლების ერთობლივი ზიარება ყოვლად დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია მართლმადიდებელთა და სხვა კონფესიათა წარმომადგენლების ერთობლივი შეკრება ლოცვისათვის, რომელიც ერთობლივ აღმსარებლობას გულისხმობს.

## 5. ზემოაღნიშნული ბერები ახსენებენ პროვოკაციებს საპატრიარქოს მხრიდან.

გაუგებარია, თუ ვისი მხრიდან ხდება პროვოკაციები, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქის მიერ წარგზავნილ ეპისკოპოსებს და მღვდელმონაზვნებს ბერები არ უშვებენ მონასტერში. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ მოვითხოვთ მათ მიერ მონასტრის დატოვებას, მივიჩნევთ, რა მათ ჩვენი ეკლესიის შვილებად და იმედი გვაქვს, რომ აღდგება მშვიდობა და სრული ერთობა ეკლესიაში. ამასთანავე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ვერ შეურიგდება იმას, რომ საქართველოს ეკლესიის თუნდაც ერთ მოქმედ მონასტერში არ შესრულდეს წირვა-ლოცვა პატრიარქის მიერ დანიშნული სასულიერო პირის მიერ. ეს არავითარ შემთხვევაში არ ხელყოფს ზემოაღნიშნული ბერების უფლებას, იცხოვრონ მონასტერში, სანამ ისინი გაარკვევენ თავის პოზიციას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

## 6. მონაზვნებთან და მორჩილებთან უთანხმოება ეხება არა მხოლოდ მათ შეხედულებებს, არამედ მათ ქმედობასაც.

ეკლესიაში ყოველი საკითხის აღძვრა, სამართლიანია ის თუ უსამართლო, მოითხოვს გარკვეული წესების დაცვას. სწორედ ეს წესი და კანონები დაარღვიეს მათ. მაგალითად, კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების მამათა მიერ დადგენილი მე-6 კანონი:

კონსტანტინეპოლის წმიდა კრების ეპისკოპოსებმა დაადგინეს, რომ ის, ვინც ბრალს დასდებს ეპისკოპოსს, არ უნდა იყოს შეწყნარებული გამოძიების გარეშე. არც ეპისკოპოსის ყველა ბრალმდებლის მიღება შეიძლება, არც ყველა ბრალმდებლის უკან გაბრუნება, ვინაიდან ბევრს აქვს სურვილი, არევ-დარევა შეიტანოს საეკლესიო წესიერებაში, ააღელვოს მრევლი და ცილი დასწამოს ეპისკოპოსებს მტრობით, რათა შეარყიოს სასულიერო პირთა ავტორიტეტი...

იმ შემთხვევაში, თუ ბრალმდებელი არც მწვალებელია, არც უზიარებელი და გაძევებული, არც ბრალდებული ვინმესგან, და ამბობს, რომ აქვს საეკლესიო ბრალდება ეპისკოპოსის მიმართ, წმიდა კრება უბრძანებს მას, სამთავროს (ეპარქიის) ეპისკოპოსთა წინაშე წარმოთქვან ეს ბრალდება და ამხილონ ეპისკოპოსი.

ხოლო, თუ სამთავროს (ეპარქიის) ეპისკოპოსები ვერ გადაწყვეტენ ეპისკოპოსის ბრალდების საქმეს, ვერ გაასწორებენ ბრალდებულს, მაშინ მათ უნდა მიმართონ დიდ კრებას, ეპისკოპოსთა განსაგებლის (ოლქის) კრებას, რომელიც ამ მიზეზით იქნება მოწვეული. ამ დიდ კრებაზე საქმის დამწყებმა, ანუ ეპისკოპოსის ბრალმდებელმა, ბრალდების წარდგენამდე უნდა დადოს წერილობითი პირობა, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ დაამტკიცებს თავის წაყენებულ ბრალდებას, თვით დაისჯება იმ სასჯელით, რომლითაც დაისჯებოდა ბრალდებული ეპისკოპოსი ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში. ხოლო თუ ვინმე დაარღვევს, არ შეასრულებს ამ კანონს და მიმართავს სამეფო სასამართლოს, ან საერო მთავრის სამსჯავროს, ან მსოფლიო კრებას, ის არ იქნება მიღებული ბრალმდებლად, როგორც შეურაცხმყოფელი კრების კანონის და საეკლესიო კეთილწესიერებისა. (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987. გვ. 211-212).

ამ კანონის და სხვა მსგავსი კანონების მთავარი აზრი ნათელია, ეკლესიაში ეპისკოპოსისადმი (მით უმეტეს პატრიარქისადმი) ბრალდების წაყენება გარკვეული წესის დაცვას მოითხოვს და მხოლოდ ამ წესის დაცვის შემდეგ საქმე გადაეცემა საეკლესიო კრებას, რომელიც მართლმადიდებელი გადმოცემის მიხედვით ითვლება ეკლესიაში სადავო საკითხების გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მრავალნი ბოროტი განზრახვით ან უმეცრებით, არეულობას შეიტანდნენ საეკლესიო ცხოვრებაში. ზემოთხსენებულმა ბერებმა არ დაიცვეს ეს წესები და პირობები, მათ არ დაუცადეს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას და თვითნებურად გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი კათოლიკოს-პატრიარქთან, რაც იმავე საეკლესიო კანონებით მკაცრ სასჯელს იმსახურებს.

დასასრული. დასაწყისი იხ. მეოთხე გვერდზე.

## გამოცდები



# ერთი კარგი მექისე...

გაჩერებასთან თავგაბეზრებული ხალხი მოუთმენლად ელის ტრანსპორტს. აი, ისიც. ხანშიშესული კაცი პირველი მიიჭრა ავტობუსთან, მაგრამ ასვლას ვერ ახერხებს და კართან გაჩხირულ ქალბატონს მიმართავს: „ქალო, ვერ ხედავ, ხალხი ამოდის ავტობუსში, თუ შეიძლება, ცოტა აიწიე!“ „მე, ბატონო, ცოტაზეც აწეული მაქვს და ბოლომდეც, შენ შენს ჩაჩაჩულ შარვალს მიხედე“, — არ დაუთმო ქალმა...

ამ „დელიკატური“ გაპაექრების ენობრივი „მარგალიტები“ უხვად გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში. მაგალითების სანთლით ძებნა არ დაგვჭირდება, რადგან პრესაში თუ ტრიბუნაზე როგორც ამბობენ, ძალიან აწუხებთ ხალხის უამრავი პრობლემა, რომ მრავალი საკითხი გადაუჭრელია, ბევრი ადამიანი ლუკმა პურის გარეშე არის დარჩენილი, რომ ვილაცეები არაფერს არ აკეთებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად...

მაგრამ ზემოთ თქმული არაფერია იმასთან შედარებით, რასაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ახლახან დამთავრებულ მისაღებ გამოცდებზე შეხვდებით.

სანამ ეს ორომტრიალი დაიწყებოდა, ქალაქში რამდენიმე ადგილას გაკრულმა განცხადებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: „ვყიდი ხუთიანზე შეფასებულ თემებს“. ქვემ კი ადრესატის ტელეფონი იყო მითითებული. ვიფიქრე, ჩვენს აბიტურიენტებს ეშველებათ-მეთქი, მაგრამ გაგიგონიათ, ზოგიერთმა სიმწიფისატესტატიანმა „მაშველი რგოლის“ დახმარებითაც ვერ გამოიჩინა სათანადო ფხა და გამომცდელებს მათ უხვად მესთავაზეს „შპარგალკებში“ მოძიებული „მარგალიტები“. ერთ-ერთი აბიტურიენტი „ვონებრივად დაქვეითებულ“ ვარსქენის დახასიათებისას ასეთ დასკვნას აკეთებს: „ვარსქენი წარმოგვიდგება მჩატე ვინების ადამიანად“. საფიქრებელია, ამ სტრიქონების ავტორს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ქართლის პიტიახშს, ალბათ, უფრო „მძიმე გონებაც“ ეხერხებოდა, აი, ისეთი ლუვანდელ „რაინდებს“ ფიცილის ფორმულად რომ გაუხდიათ...

გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ რომ საკმაოდ რთული ნაწარმოებია, ამას არ უნდა მტკიცება, ამიტომ ზოგიერთი აბიტურიენტი ავტორის სიტყვების თავისებურ პერიფრაზსაც გვთავაზობს. მაგალითად: მერჩულე ხანძთელს ასე ახასიათებს: „ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, პასაკითა სრულ“. როგორ გინდა გაიგო ავტორის ეს სიტყვები, რომ არა სტუდენტობასმოწყურებულის მოკლე ვარიანტი: „გრიგოლ ხანძთელი იყო მაღალი და მთხლე (!) კაცი“.

ზოგიერთი აბიტურიენტი სულხან-საბა ორბელიანის „სპორტანულ“ აღზრდის მეთოდს, როგორც ჩანს, ძალიან აღუშფოთებია და მოკლედ მოუჭრია: „ვინც მეფემ ისი შვილი ჯუმბერი აღსაზრდელად ლეონს (!) გაუგზავნა. ამაზე უკეთეს პედაგოგს ვერც ინატრებდა“.

კიდევ ერთი „მარგალიტი“ გვინდა შევთავაზოთ მკითხველებს: აბიტურიენტი ახასიათებს გიორგი მეფეს „დოლსტაგის მარჯვენიდან“ და ერთგან შენიშნავს, ხელმწიფემ სასწრაფოდ იხმოო „მეძისე კათალიკოსი“, მაგრამ არ მიუთითებია, რისთვისო...

ისე, კაცმა რომ თქვას, ერთი კარგი „მექისე“ მართლაც საჭიროა ენისთვის ამგვარი ჭუჭყის მოსაცილებლად.

**ვაჟა დანელია.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ მხოლოდ თავისი მკითხველების განცხადებებს აქვეყნებს უფასოდ

№ 183 „სრ“

უფასო განცხადებების ბლანკი

შევსებული ბლანკი ამოჭერით და ჩააბარეთ რედაქციის განცხადებების განყოფილებას. მისამართი: მ. კოსტავას ქ. №14. პირველი სართული. ყოველ დღე, კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე.

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქ. №28-ში ქალაქის ცენტრში, ზღვის პირას, ორსართულიანი, კაპიტალური სახლი 11 ოთახით, 120 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, (შეიძლება სასტუმროდ გადაკეთდეს), ტელეფონი 6-29-93.

იყიდება სასწრაფოდ პრივატიზებული აგარაკი ცხვარიჭამიაში, კაპიტალური სახლი, 1200 კვ.მ. ეზო ხეხილის ბაღით და წყლით. საწყისი ფასი 6500 დოლარი. ტელ: 99-75-13; 99-85-14, ავთო.

ვყიდი 2-ოთახიან ბინას დიდ დიღომში, მესამე მიკრორაიონის დასაწყისში, 16 სართულიან სახლში. ფასი 4800 დოლარი. ტელ: 53-33-25, ლალი; 37-19-92, ლია.

იყიდება ერთოთახიანი ბინა დიდი სამზარეულოთი, ღია აივნით დიღმის მასივში, მაიაკოვსკის ძეგლთან, მე-19 კორპ. სად. 1. ბინა 26, რკინის კარით, სუფთა რემონტით. 14 სართულიანის მე-10 სართულზე, ფასი შეთანხმებით, ტელ: 96-33-48.

### სხვადასხვა

სწრაფი კითხვის ტექნიკას შევასწავლი 3-თვიან მეცადინეობაზე (კვირაში 2-ჯერ, მეტრო „გოცირიძესთან“). კითხვის სიჩქარე გაიზრდება საშუალოდ 5-ჯერ. ტელ 31-32-75.

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

## მძლეოსნობა

# 34 სპრინტერს მაინც ვჯობივართ

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ათენში საქართველოს ორმა წარმომადგენელმაც იასპარეზა. თამარ შანიძემ და რუსლან რუსიძემ 100 მეტრზე რბენაში სცადეს ბედი. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ბრძოლაში ვერც ერთმა მათგანმა პირველი ეტაპის დაძლევა ვერ შეძლო. შანიძემ 100 მეტრი 11,97 წამში დაფარა, საბოლოოდ 46-ე ადგილი დაიკავა და მხოლოდ 10 კოლეგა ჩამოიტოვა. იმავე მანძილზე რუსიძემ 10,6 წამი აჩვენა, რითაც 72-ე ადგილზე გავიდა და 24 სპრინტერს გაუსწრო. აღსანიშნავია, რომ ბათუმელმა სპორტსმენმა ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ კანადელ დონოვან ბეილისთან ერთად ირბინა წინასწარ გარბენში.

## ჭადრაკი

# კომპიუტერები „მძვინვარებენ“

„დიპ ბლიუს“ ბრწყინვალე წარმატებამ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან მატჩში (3,5:2,5) სხვა საჭადრაკო კომპიუტერებსაც „ფრთები შეასხა“ და ისინი დიდოსტატებს დაერივნენ.



### „რებელი“ – არტურ იუსუპოვი 10.5:6.5.

ეწინ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონობის მრავალგზის პრეტენდენტი არტურ იუსუპოვი ახლა გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ნაკრებში პირველ დაფაზე თამაშობს.

ამასწინათ მოეწყო მისი მატჩი ჰოლანდიურ საჭადრაკო კომპიუტერ „რებელთან“, მეტად თავისებური პირობებით. პირველ დღეს მეტოქეებს უნდა ეთამაშათ 10 ელვისებური პარტია (სადაც თითოეულ მხარეს მთელი პარტიისათვის სვლების მოსაფიქრებლად სულ 5 წუთი ეძლევა). მეორე დღეს ჯერ ხუთი პარტია უნდა ეთამაშათ 15-15-წუთიანი კონტროლით, შემდეგ კი ორი პარტია „სწრაფ“, ანუ აქტიურ ჭადრაკში (აქ მთელ პარტიაზე მოჭადრაკეებს ნახევარ-ნახევარი საათი ეძლევათ). მესამე დღისათვის დაიგეგმა, ასე ვთქვათ, „ნახევრად სერიოზული“ პარტია. აქ უკვე მხარეებს სვლების მოსაფიქრებლად თითო საათი ჰქონდათ.

ახლა კი გთხოვთ, დააკვირდეთ შეხვედრის მსვლელობას. ელვისებურ ჭადრაკში განთქმულმა დიდოსტატმა ავტომატს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. „რებელმა“ მოიგო მატჩი ანგარიშით 6:1. გასაგებია, დარჩენილი სამი პარტიის ჩატარება საჭირო აღარ გახდა.

ამას მოჰყვა 5 პარტია (15-15-წუთიანი კონტროლით). აქ მეტოქეებმა თანაბარი წარმატებით ითამაშეს – 2,5-2,5. 30-წუთიანი პარტია იუსუპოვმა მოიგო, მეორე კი აღარ გამართულა, რადგან... შუქი გამოირთო. ეტყობა, საქენერგოს „ნათესავები“ დასავლეთ ევროპაშიც ჰყოლია.

რახან იუსუპოვს თვითმფრინავის რეისზე აგვიანდებოდა, გადაწყდა დასკვნითი თითოსაათიანი პარტიის ნაცვლად მეტოქეებს ორი 15-15-წუთიანი ეთამაშათ. აქ თანაბარი ანგარიში – 1:1 აღინიშნა.

საბოლოოდ მსაჯებმა ის არშემდგარი პარტიაც გაითვალისწინეს და ასეთი ანგარიში გამოიყვანეს: 10,5:6,5, ასე რომ, „რებელმა“ დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა.

### „დიპ ბლიუ-უმცროსი“ – ნათან შარანსკი 3:0.

ყოფილი დისიდენტი, ამჟამად კი ისრაელის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ნათან (საბჭოთა კავშირში მას ანატოლი ერქვა) შარანსკი ძლიერ მოჭადრაკედ ითვლება. არც ისე დიდი ხნის წინათ მან შეძლო ისრაელში მყოფი გარი კასპაროვის დამარცხება, მართალია, ერთდროულად თამაშის სეანსში.

და აი, მოეწყო ნათან შარანსკის მატჩი იბმ-ს კიდევ ერთ კომპიუტერთან – „დიპ ბლიუ-უმცროსთან“.

კომპიუტერმა და ნათან შარანსკიმ სამი პარტია ითამაშეს ნახევარ-ნახევარსაათიანი კონტროლით. სამივე პარტია „დიპ ბლიუ-უმცროსმა“ მოიგო.

ერთი სიტყვით, მოჭადრაკეებს მძიმე დღეები დაუდგათ.

**გივი თორელი.**

## სადისკუსიო კლუბი „პრესა“

# თუ გახსენებაა, გახსენება იყოს!

ახლახან გაზეთ „ახალ თაობაში“ (№ 195, 18.07.97 წ.) გამოქვეყნდა წერილი – „დაგვიანებული გახსენება“, რომელიც გამოჩენილი რუსი ფეხბურთელის ედუარდ სტრელცოვის ხსოვნას ეძღვნება. დასანანია, რომ აღნიშნულ პუბლიკაციაში ბევრი უზუსტობაა და, რაც მთავარია, მოკლებულია კომპეტენტურობას.

დავიწყოთ იმით, რომ წერილში სტრელცოვი მრავალჯერ მოხსენიებულია ევგენის სახელით, მაშინ, როდესაც მთელი საფეხბურთო სამყარო მას იცნობდა ედუარდის სახელით. წერილში ნათქვამია, რომ „შვედეთში ყოფნის დროს სამი ფეხბურთელი – სტრელცოვი, ტატუშინი და ოგონკოვი დაადანაშაულეს ქალის გაუპატიურების მცდლობაში“, რომ „მას ექვსი წლის განმავლობაში მოუწია ციმბირის გულაგში ყოფნა“, რომ 6-წლიანი კატორღის შემდეგ იგი მაინც საუკეთესო იყო ფეხბურთში და ა. შ.

ვიყავი რა ედუარდ სტრელცოვის ბრწყინვალე თამაშის მრავალგზის თვითმხილველი, მიზანშეწონილად მიმაჩნია ობიექტურად და სამართლიანად გავიხსენოთ ეს უდავოდ ნიჭიერი და მაღალი კლასის ფეხბურთელი.

1954 წლის საფეხბურთო სეზონის მოსამზადებელ პერიოდში მოსკოვის „ტორპედოს“ იმჟამინდელმა უფროსმა მწვრთნელმა ნიკოლოზ მოროზოვმა პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა: „ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე მაყურებელი წლევანდელ სეზონში იხილავს ედუარდ სტრელცოვს. მაღალი, სწრაფი სირბილი და კარებში უძლიერესი დარტყმები – ჩინებული თვისებებია ამ ნიჭიერი სპორტსმენისა, რომელიც გასულ წელს ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა“.

ახდა ნ. მოროზოვის სიტყვები და 1954 წლის სეზონის დასაწყისშივე მოსკოვის „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაში ვალენტინ ივანოვის გვერდით გამოვიდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ედუარდ სტრელცოვი. მოსკოვის „ტორპედოს“ ისტორიაში დაიწყო სრულიად ახალი ერა.

ედუარდ სტრელცოვი პირველად გამოვიდა საფეხბურთო მატჩში თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ მეშვიდე ნომრით. საქმე იმაში ის, რომ მოსკოვის „ტორპედოს“ მარჯვენა გარემარბი ვაცკევიჩი ავად გახდა და მის ნაცვლად სტრელცოვი ათამაშეს. მთავარი და დასამახსოვრებელი ამ მატჩში ის იყო, რომ ედუარდ სტრელცოვმა ულამაზესი გოლი გაიტანა ვლადიმერ მარღანიას კარში. ეს იყო ედუარდ სტრელცოვის პირველი გოლი და აქედან დაიწყო ათვლები მის მიერ გატანილი გოლებისა საფეხბურთო გამოსვლების ისტორიაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს თამაში მასპინძელთა, თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა – 2:1.

1955 წლის იანვარში ედუარდ სტრელცოვი პირველად შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და საერთაშორისო ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად ინდოეთში წაიყვანეს. იმ ტურნეში მასპინძლებთან გატანილი 100 გოლიდან ყველაზე მეტი – 15 გოლი სტრელცოვის ანგარიშზე მოდიოდა. იმავე წლის ივლისში, საბჭოთა ნაკრებმა გამანადგურებელი ანგარიშით – 6:0 დაამარცხა შვედეთის ნაკრები. ამ მატჩში სტრელცოვმა სამი ბურთი გაიტანა. იმჟამინდელი საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესა აღფრთოვანებით წერდა სტრელცოვზე და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

როგორ არ გავიხსენოთ 1956 წლის საკავშირო სპარტაკიადის ფინალური მატჩი საქართველოს ნაკრებსა და მოსკოვის ნაკრებს (იგივე საბჭოთა კავშირის ნაკრებს) შორის... ამ მატჩის პირველი ნახევარი ფრედ – 1:1 დამთავრდა. თამაშის მეორე ნახევარი წვიმაში მიმდინარეობდა... ბურთით არის ედუარდ სტრელცოვი, რომელიც აშკარა „თამაშგარე მდგომარეობაშია“, რასაც „ვერ ამჩნევს“ ამ მატჩის მთავარი მსაჯი, ჩვენზე „შეყვარებული“ ნიკოლოზ ლატიშევი. მისი სასტვენი დუმს. მაგრამ თვით სტრელცოვმა ინამუსა, ივაჟკაცა, „ოფსაიდიდან“ ბურთიანად გამოვიდა და შემდეგ ძლიერად დაარტყა მიხეილ პირაევის კარში. პირაევი გადახტა, მაგრამ სტრელცოვის მიერ შორიდან, უძლიერესად დარტყმული სველი ბურთი მუცლის ქვეშ გაუძვრა და ზედ კარის ხაზზე გაჩერდა. დაბნეულ და გაუნძრევლად მწოლიარე პირაევს ზემოდან გადაახტა ანატოლი ილინი და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ეს ძალზე დაძაბული და საინტერესო თამაში ქართველმა ფეხბურთელებმა 1:2 წააგეს. ეს თამაში იმიტომ გავიხსენე, რომ ხაზი გაესვა სტრელცოვის ვაჟკაცობისათვის.



ედუარდ სტრელცოვს დიდი დამსახურება მიუძღვის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მელბურნში საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებაში.

1957 წლის სეზონის ბოლოს მოსკოვის „ტორპედო“ საფრანგეთში გაემგზავრა და იქ ამხანაგურ მატჩებში შეხვდა პარიზის იმდროინდელ უძლიერეს საკლუბო გუნდებს – „რეიმსს“ და „რესინგს“. ორივე გუნდი გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა – 6:1 და 6:0. ამ წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი ედუარდ სტრელცოვს მიუძღოდა. ის მხოლოდ ოცი წლის იყო, როცა დაიმსახურა სპორტული დიდება, მაგრამ მოხდა ისე, რომ 1958 წლის მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა ნაკრები შვეციაში სტრელცოვის გარეშე გაემგზავრა...

მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ საფრანგეთის ტურნედან „ტორპედოს“ დაბრუნებისას, სტრელცოვს თავისი მეგობრების წრეში თითქოსდა წამოცდა, რომ პარიზში მასთან მივიდნენ იქაური ემისრები და შეპირდნენ, თუ ის საბჭოთა კავშირში არ დაბრუნდებოდა, საფრანგეთში პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვდა და მათთან ითამაშებდა, ის მილიონერი გახდებოდა. ამის შემდეგ სტრელცოვი დაასმინეს, სადაც საჭირო იყო და ყველაფერი გააკეთეს, რომ ის დაეპატიმრებინათ.

არასწორია გაზეთ „ახალი თაობის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ „მას ექვსი წლის განმავლობაში მოუწია ციმბირის გულაგში ყოფნა“. ჯერ ერთი, სახელწოდება გულაგი 50-იან წლებამდე არსებობდა და ნიშნავდა „ბანაკების მთავარი სამმართველოს“ (Гулаг - Главное управление лагерей), ხოლო სტრელცოვის დაპატიმრება ნიკიტა ხრუშჩოვის დროს მოხდა და გულაგის ნაცვლად იყო „საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო“. ასე რომ, არ არის საჭირო სტალინისდროინდელი „გულაგის“ სახელით ემოციების გამოწვევა. მეორე – ედუარდ სტრელცოვმა პატიმრობის წლები მოსკოვთან ახლოს მდებარე კოლონიაში გაატარა. კოლონიის ადმინისტრაცია ცნობილ ფეხბურთელს ყოველგვარ პირობებს უქმნიდა, რომ მას ყოველდღე ინტენსიურად ევარჯიშა და სასურველი სპორტული ფორმა შეენარჩუნებინა. ედუარდ სტრელცოვს უფლებას აძლევდნენ, რომ რამდენიმე სეზონი მოსკოვის ავტოქარხნის საკლუბო გუნდში ეთამაშა, ხოლო „დიდ ფეხბურთს“ ტრიბუნიდან აკვირდებოდა. ყოველივე ამან მისი თამაში უფრო გაამდიდრა, უკეთესად დაიწყო სათამაშო მინდვრის ხედვა და, რაც მთავარია, ის ურნალის (ტარანის) ტიპის ფეხბურთელიდან გადაიქცა კომბინაციური სტილის ფორვარდად, ამასთან ერთად, შეინარჩუნა ინდივიდუალური ოსტატობა.

1965 წელს ედუარდ სტრელცოვი მოსკოვის „ტორპედოს“ დაუბრუნდა. დაბრუნება ძალზე საინტერესო აღმოჩნდა, რადგან იმავე წელს მოსკოვის „ტორპედო“ ისევ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მეტოქეობა ძირითადად მოსკოვის „ტორპედოს“ და კიევის „დინამოს“ შორის მიმდინარეობდა, მაგრამ ჩემპიონატის ფინიშზე ქუთაისელმა ტორპედოელებმა მოსკოველ თანაკლუბელებს ჩინებული საჩუქარი მიართვეს, – მათ დაამარცხეს კიევის დინამოელები და ამით ხელი შეუწყვეს ჩემპიონატში მოსკოვის „ტორპედოს“ საბოლოო გამარჯვებას.

ედუარდ სტრელცოვი მოსკოვის „ტორპედოს“ რიგებში ხუთჯერ ფლობდა საუკეთესო ბომბარდირის წოდებას. იგი კვლავ საბჭოთა ნაკრებშია და 25 ბურთი გააქვს.

უნდა აღინიშნოს ედუარდ სტრელცოვის მრავალჯერ ნათქვამი სიტყვები, რომ მოსკოვის „ტორპედოში“ ადრე მას კარგი თამაში გამოსდიოდა სლავა მეტრეველთან და ვალენტინ ივანოვთან, რომლებიც გამოირჩეოდნენ გააზრებული და ურთიერთშეთანხმებული თამაშით. მათი საფეხბურთო კომბინაციები ელეგანტური, ულამაზესი და ლაკონური იყო, მოწინააღმდეგენი ვარდებოდნენ მოულოდნელ და გამოუვალ მდგომარეობაში.

ედუარდ სტრელცოვს ეკუთვნის აგრეთვე სიტყვები: „საბჭოთა ნაკრებში არ მომეცა შესაძლებლობა, მეთამაშა სლავა მეტრეველის და მიხეილ მესხის ცენტრში“... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს იქნებოდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი და განუმეორებელი „სამი მუშკეტერი“. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ სწორედ მიხეილ მესხის და სლავა მეტრეველის წყალობით გაიცნო მსოფლიომ როსტოველი ვიქტორ პონედელნიკი, რომელიც თამაშის დონით ჩამოუვარდებოდა ედუარდ სტრელცოვს.

ჩვენი ვალია გავიხსენოთ მსოფლიო ფეხბურთის ორი სუპერვარსკვლავის – მიხეილ მესხის და ედუარდ სტრელცოვის სახელები: ისინი ერთი ხნის იყვნენ და წლეულს ორივეს 60 წელი შეუსრულდებოდა.

**გურამ ჩხიკვაძე,**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.



## იუბილე

# მეცნიერი, აღმზრდელი, მოქალაქე



ქართველ ეკონომისტთა საზოგადოებრიობა დიდი პატივისცემით აღნიშნავს თვალსაჩინო მეცნიერის, ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ვალერიანის ძე მშვილდაძის დაბადებიდან 70 და სამეცნიერო–პედაგოგიურ მოღვაწეობის 45 წლისთავს.

ამ მეტად გულისხმიერი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის განვლილი გზა იმის მაგალითია, თუ როგორი თავდადებით უნდა ემსახურო მეცნიერებას, მომავალი თაობის აღზრდას, შენს ხალხს, სამშობლოს.

50 წლის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი დღე მშობლიური ქვეყნისა და მისი ხალხისათვის სასარგებლო საქმეები არ ეკეთებინოს. უნივერსიტეტში ასპირანტურის კანდიდატად მეორე კურსიდან დაამტკიცეს, ხოლო დამთავრებისას, როგორც სწავლაში წარჩინებული და აქტიური სტუდენტი, 1949 წელს სადირექტივო ორგანოებმა აფხაზეთში გაგზავნეს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილედ, რადგან გული მეცნიერებისაკენ უწევდა და 1950 წლის სექტემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩააბარა გამოცდები, 1961 წელს უნივერსიტეტს დაუბრუნდა და დღემდე ასრულებს დოცენტის, პროფესორის, ფაკულტეტის დეკანის, კათედრის გამგის მოვალეობებს. 1975 წელს აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მალე პროფესორის წოდებაც მიენიჭა. გარდა უნივერსიტეტისა, იგი რიგ სახელმწიფო და კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგედ, პროფესორ-კონსულტანტად, მრჩევლად და სხვა თანამდებობაზეც მუშაობდა. ბოლო წლებში ორი დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად აირჩიეს და ყველგან, სადაც კი უმუშავნია, თუ მუშაობს, დაკისრებულ მოვალეობას ახალგაზრული ენერგიით ასრულებს.

პროფესორმა გიორგი მშვილდაძემ აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან ერთად დიდი როლი შეასრულა ქართული ეკონომიკური ჟურნალის „ეკონომიკის“ დაარსებაში; მას 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. აქედან 15-ზე მეტი ცალკე მონოგრაფია და ბროშურაა. მის ნაშრომებში კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით არის წარმართული: ერთი მხრივ, მათში საქართველოს მაკროეკონომიკის პრობლემებია შესწავლილი, ხოლო მეორე მხრივ, ზოგადი ეკონომიკური თეორიის საკითხებია დამუშავებული. იგი პირველია საქართველოში რესპუბლიკის ეკონომიკის, მისი ეროვნული სიმდიდრის უდიდესი ნაწილის „ძირითადი ფონდების (კაპიტალის) კვლავწარმატებისა და ეფექტიანი გამოყენების კანონზომიერების“ კომპლექსურ შესწავლაში.

მის ნაშრომებში დასაბუთებული წინადადებები და დასკვნებია გაკეთებული ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მარგანეცის ნედლეულის გატანის აკრძალვა და ჭიათურის ზონაში მწირი ქანების გადამამუშავებელი მეორე ქარხნის აგების საფუძველზე 100-ჯერ უფრო ძვირადღირებული მზა მანგანუმის გატანა, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მხოლოდ ჰიდრორესურსების გამოყენებით განვითარება და მისი საქართველოს მთავარ საექსპორტო საქონლად წარმოება. ღვინისა და ჩაის, ხილისა და ციტრუსების პრიორიტეტული განვითარება და მათი საექსპორტო მნიშვნელობით წარმოება, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის უპირატესი განვითარების დიდი მნიშვნელობა და აუცილებლობა. ეს და სხვა მრავალი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

მისაბაძია მისი მოღვაწეობა, როგორც პედაგოგის და აღმზრდელისა. პროფესორი გიორგი მშვილდაძე ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას ღირსეულად წარმოადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მოსკოვში, პეტერბურგსა თუ სხვა ცენტრებში არ ჩატარებულა რაიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო თავყრილობა, რომ მასში მოხსენებით ან სხვა ფორმით მონაწილეობა არ მიეღო. წლების მანძილზე მრავალი სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული მოსკოვის, პეტერბურგის, ვარშავის, პრაღის და სხვა ცენტრების ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, ხოლო 1984 წელს მისი კათედრის ბაზაზე პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად ჩატარდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც 80-ზე მეტი საზღვარგარეთის ქვეყნიდან მოწვეული სტუმარი ესწრებოდა.

პროფესორი გიორგი მშვილდაძე აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის პროცესში. ათეულობით ასპირანტისა და მაძიებლის მეცნიერ-ხელმძღვანელია. 20 წელიწადზე მეტია, რაც მეცნიერი ერთდროულად რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის საბჭოს წევრია, აქტიურად მონაწილეობს სადისერტაციო ნაშრომების განხილვა-შეფასებაში. წლების მანძილზე იყო საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროს პოლიტიკური ეკონომიის სექციის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს პოლიტიკური ეკონომიის სექციის თავმჯდომარე და ა.შ. ამჟამად აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური რეფორმებისა და, კერძოდ, პრივატიზაციის გატარების ღონისძიებების შემუშავებაში, არის სახელმწიფო წარმომადგენელი ერთ-ერთ მსხვილ ახლადორგანიზებულ სააქციო საზოგადოებაში.

ვუსურვოთ ბატონ გიორგის ჯანმრთელობა, კიდევ მრავალ წელს აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ.

პროფესორები:
**როზეტა ასათიანი,**
**თამაზ ჩიკვაიძე,**
**ნუგზარ პაიჭაძე.**

# კროსვორდი



**თარაზულად:** 5. ტყის მსხალი. 6. ქორწილში მეფის პირველი მაყარი, მეფის მეჯვარე ძველად. 9. პატარა მრგვალი, ბრტყელი პური. 10. ეკლესიის მსახური, რომლის მოვალეობას შეადგენს სანთლების ანთება. 11. მომჯადოებელი (ძველად). 15. დიდი მოსავალი, ხვავი. 18. ქართველი კომპოზიტორი, ოპერა „სამშობლოს“ ავტორი. 19. ქათმის საჯდომი ხარიხა (საქათმეში). 20. მშვილდით სატყორცნი ჯოხი. 21. მტაცებელი ცხოველი. 23. თეთრყვავილიანი დაბალი ხე. 24. პურ... 26. ძვირფასი ქვა. 31. მსუბუქი გადახურებული ნაგებობა ბაღში. 33. გამომწვარი თიხის ძელაკი იხმარება სამშენ მასალად. 34. მარცვლეულის ბუდე, კანი. 35. დრომა. 36. ხის მოზრდილი ღვინის სასმისი.

**შვეულად:** 1. სახელდახელოდ თქმული ლექსი. 2. ღვინის, დროსტარების, მხიარულების ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 3.პურეულის შესანახი ნაგებობა. 4. ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი. 7. ინდური ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით. 8. გარემომცველი საჰაერო სივრცე, სადაც ვრცელდება რადიოტალღები. 12. სურნელოვანი ყვავილი. 13. ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ სხვადასხვა მარკის მაღალხარისხოვან ღვინოს. 14. სტუმრისათვის მირთმეული საჭმელ-სასმელი, სტუმართმოყვარეობა. 16. საქორწილო სიმღერა, რომელსაც მაყრები მღერიან. 17. გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერა (იცოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში.) 22. ფეხსახსრიანი მხამიანი ცხოველი. 25. ვინმეზე გაწეული შრომა, მზრუნველობა. 27. ერთგვარი სასმისი, კათხა. 28. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, XII-XIII სს ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი ისტორიულ ჯავახეთში. 29. წყლის საღებავებით დახატული სურათი ახლად შელესილ კედელზე, ჭერზე. 30. მაღალხარისხოვანი მინა. 32. გრძელი სკამი რამდენიმე კაცისათვის.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. სარაბანდა. 5. ბაიანი. 6. ბალადა. 8. პარტია. 10. ფიზიკა. 12. სანგინი. 15. იმპერია. 16. მისტიკა. 17. ლასკერი. 19. შტაპელი. 24. დრენაჟი. 26. იტალია. 28. ორდერი. 30. იდილია. 31, ელინგი. 32. იუმორესკა.

**შვეულად.** 1. სეირი. 2. არიფანა. 3. ამბიცია. 4. აჯანი. 5. ბარი. 7. აზია. 8. პოლიგლოტი. 9. ასლი. 10. „ფიცი“. 11. არდაზიანი. 13. შეიკი. 14. ეტაპი. 18. რადა. 20. ტრიო. 21. ვესტაპო. 22 ვარიეტე. 23. ხატი. 25. შერი. 27. ირისი. 29. რენტა.

## გახსენება

### სოსო კიკნაძე



ორი წელი უშენოდ ეხვდებით 11 აგვისტოს, ჩვენო საყვარელო, სანატრელო, ძვირფასო შვილო სოსიკო!

ძალიან ძნელია იმის გამოთქმა, როგორ გვტკივა გული, როგორ გვენატრები შენს დედიკოს და მამიკოს, ნათესავებს, ყველას და ყველას. შენს ახლობლებს!...

ძალიან დაჩაგრული და გაუბედურებული ვზივართ მე და გურამი და გელოდებით, შენ როდის მოხვალ და გვეტყვი დედიკო, ეს რა მოხდა, მიწაც წაგართვეს ჩემს გვერდში? მანდაც გაწყენინა შვილო შენმა საყვარელმა ბიძამ. ყოველ ღამე მესიზმრები და გვანუგეშებ მე და გურამის არ ინერვიულოთ, დედიკო და მამიკო, რას იზამთ როგორც გეუბნებოდი, ახლაც ისე ამბობ ალბათ „ეგნაა ეს კაცი, გამიწყალა გული, გამიწყალა გულიო!..“ მაგრამ, გთხოვ, შვილო სოსო, არ ინერვიულო მიხედე ბებიას და ბაბუას. ჩვენც მალე მოვალთ შენთან.

უბედურ შენს მამას გურამჩიკას (როგორც შენ ეძახდი) თვალზე ცრემლი არ უშრება. შვილო სოსო, სოსიკო! დაგეძებს. აქ რომ ველარ გიპოვა, მიაშურა შენს საყვარელ სოფელს. ალაგებს, ასუფთავებს ყველაფერს და იქაც რომ ვერ გპოულობს, ისევ უკან ბრუნდება და ასე იტანჯება.

შვილო სოსო, სალანძილეში მეორე ზაფხულია, გელოდებიან, ელოდებიან ბავშვები შენგან ჩატანილ საჩუქრებს დათო, დათო, იკალო, ლექსო, ნანა, იმარიკო, მოთიკო, ზურიკო, ნინო და ნონა და ყველანი... ყველანი... მაგრამ?..

წახვედი ჩვენგან და დაგვრჩი მოგონებად, გვიჭირს უშენოდ, ისღა დაგვრჩენია შენს სევდამწარებულ დედას და მამას, უფალს შევევედროთ შენი უკვდავი სული. დაე, ბუმბულად გექცეს შენთვის გულზე დაყრილი მიწა.

შენი საყვარელი დედიკო ნუნუ. მამიკო გურამი.

---

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი სამძიმარს უცხადებს უშიშროების სამსახურის უფროსს ნუგზარ ბაბუციძეს სიმამრის

შოთა კობერიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა და კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შოთა სილიონის ძე კობერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

## განცხადება

სამშაბათს 12 აგვისტოს, დღის 12 საათზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შს მინისტრი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი კახა თარგამაძე აწყობს პრესკონფერენციას ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

**შსს პრესცენტრი.**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.